

# სონეტი:

სახიფთაველი რეზი	10
სახიფთაველი უნდაღივინი	4-7
„აქ ქახიფთაველი გიფთავე უნდაღივინი“ გეფთაველი ქახიფთაველი უნდაღივინი იფთაველი	8-10
ქახიფთაველი მფთაველი ქახიფთაველი უნდაღივინი	10-12
მფთაველი მფთაველი	13-14
მფთაველი უნდაღივინი და უნდაღივინი უნდაღივინი მფთაველი	14-24
უნდაღივინი და მფთაველი	24-25
უნდაღივინი უნდაღივინი უნდაღივინი	26
უნდაღივინი უნდაღივინი უნდაღივინი	27
უნდაღივინი უნდაღივინი	28-29
<i>Der Schneemann</i>	30

# ს ა ზ ი რ ვ ე რ ვ ვ ე რ მ ც ე ე ს ი

## ოცნება საქართველოზე

დავინყებელი ძველი ვონები  
 და ნანგრევები დიდ წიხეების:  
 ჩვენი დიდება მოსვენების,  
 ვართო ჩაღილები ცაცხვის სეების.

ქვდინაზ რუძად, გზილი ცაძანი...  
 მოთაფლისგზოთ სხე შაძების;  
 და სავსებლამში ცოცა ნაცანი  
 და შავი ხაფი წმინდა სამების.

ნიძანი ჭედის - ყაზზე ნალები,  
 სახუმარები დასავსებელი  
 და ღვთისმშობლის მოგებო თვალები  
 ყძანიყო სეკლით ამოვსებელი.

ყოლაყ ნადიზაძე  
 1914 წელი



# გილოცავთ ახალ 2011 წელს!

„გილოცავთ ახალ წელს“ ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ სულ ცოტა მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მაინც. მაგრამ ახალი წელი ყოველთვის როდი აღინიშნებოდა 1 იანვარს.

ძველ ბაბილონში, 4000 წლის წინ, დაახლოებით 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ახალი წელი პირველი ახალი მთვარის დროს, საგაზაფხულო ბუნიაობის შემდეგ იწყებოდა. გაზაფხულის დასაწყისი იყო ლოგიკური დასაწყისი ახალი წლისა, რადგან დგებოდა გამოღვიძების, ახალი თესვისა და აყვავების დრო. 1 იანვარს კი არ გააჩნდა არც ასტრონომიული და არც აგროკულტურული მნიშვნელობა.

ბაბილონელების ახალი წელი 11 დღე გრძელდებოდა. ყოველი დღე ისეთი ზეიმი იყო, ჩვენც რომ გავგიკვირდებოდა.

რომაელები აგრეთვე მარტის ბოლოს ზეიმობდნენ ახალ წელს, მაგრამ მათი კალენდარი იცვლებოდა იმპერატორებთან ერთად და მალე არანაირ კავშირში აღარ ჰქონდა მზესთან. ახალი წლის ზუსტად დასადგენად, რომის სენატმა ჩვ. წ.-დ-მდე 153 წელს ახალი წლის დასაწყისად 1 იანვარი დაამტკიცა. თუმცა ცვლილებები კვლავ გრძელდებოდა, ვიდრე იულიუს კეისარმა არ შემოიღო კალენდარი, რომელსაც „იულიანურ“ ეწოდა და მან ისევ 1 იანვარი დაადგინა ახალი წლის პირველ დღედ.

მიუხედავად იმისა, რომ რომაელები ჩვენს წ.-დ-მდე 1 საუკუნეში აგრძელებდნენ ახალი წლის აღნიშვნას, ეკლესია ზეიმს წარმართულად თვლიდა და ეწინააღმდეგებოდა მას.

საბერძნეთში დაახლოებით 600 წ. ჩვენს წ.-დ-მდე ახალი წლის აღნიშვნას ახლშობილ ბავშვს უკავშირებდნენ. ტრადიციისამებრ, ღვინის ღმერთის დიონისეს ზეიმზე ახალშობილს კალათით ჩამოატარებდნენ, რაც იყო ღმერთის განახლების

სიმბოლო, როგორც სულის ნაყოფიერებისა. ადრეული ეგვიპტელები ასევე თვლიდნენ ბავშვს განახლების სიმბოლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები ახალშობილის როლს ამ ზეიმში წარმართულად თვლიდნენ, რიტუალმა მაინც მოიხვეჭა პოპულარობა, რამაც აიძულა ეკლესია გადაეფასებინა თავისი პოზიცია. საბოლოოდ, ეკლესიამ ნება დართო თავის წევრებს ახალი წელი ახალშობილით აღენიშნათ, რაც ქრისტეს შობის სიმბოლოდ იქცა.

ტრადიციულად არსებობდა აზრი, რომ ადამიანს შეეძლო ემოქმედა თავის ბედ-იბღალზე მთელი წლის განმავლობაში იმით, თუ რას გააკეთებდა ან რას შეჭამდა ახალი წლის პირველ დღეს. აქედან გამომდინარე, ჩვეულებად იქცა ახალი წლის შეხვედრა ოჯახისა და მეგობრების წრეში. საახალწლო ქეიფები გვიან ღამემდე გრძელდებოდა. ხალხს ასევე სწამდა, რომ პირველი ადამიანი, რომელიც სახლში ახალი წლის დღეს შემოვიდოდა, მათ ცუდ ან კარგ ბედს მოუტანდა მთელი მომავალი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით კარგი ბედის მომტანად მუქთმიანი მამაკაცი ითვლებოდა.

ახალი წლის საჭმელებსაც, ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. მრავალი კულტურის წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ რგოლის ფორმის ნივთებს კარგი ბედი მოაქვთ. სწორედ ამიტომ, ჰოლანდიაში მიღებული იყო „დონატსების“ ჭამა. ასევე ტახი (როგორც აყვავების სიმბოლო) და შესაბამისად, მისი ხორცი ითვლებოდა კარგი ბედის მომტანად. ყველაზე იბღლიან ბოსტნეულად კი კომბოსტოს თვლიდნენ.

ყველა ქვეყანას თავისი საახალწლო ტრადიციები და სამზარეულო გააჩნია. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ახალ წელს 1 იანვარს ღია ცის ქვეშ ხვდებიან,

შუალამის შემდეგ ტყეხენ ხმაურს სტვენით, ღრიალით, მანქანების სიგნალებით და საეკლესიო ზარებით.

ავსტრიაში ითვლება, რომ ახალ წელს უნდა ჭამო გოჭი, რომელიც ამ ქვეყანაში კარგი ბედის სიმბოლოა. ხშირად სუფრას პატარა მარციპანის ან შოკოლადის გოჭების ფიგურებით რთავენ.

ბრიტანეთში სჯერათ მეკვლეისი. პირველმა მამაკაცმა, რომელიც შუალამის შემდეგ შემოვა სახლში ოჯახს კარგი ბედი უნდა მოუტანოს. ჩვეულებრივ მათ მოაქვთ საჩუქრად ფული, პური და ნახშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ოჯახს არ მოაკლდება მთელი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ მეკვლედ მოსული ადამიანი არ იყოს ქალი ან ქერა თუ წითელ თმის მამაკაცი, რადგანაც ითვლება, რომ მათ ცუდი ბედი მოაქვთ.

დანიამი კარგ ნიშნად ითვლება თუ სახლის შესასვლელში დამტვრეული ჭურჭელი დაიყრება. ამისათვის დანიელები მთელი წლის განმავლობაში გატეხილ ჭურჭელს ინახავენ, რათა შემდეგ, ახალი წლის ღამეს ნამტვრევები მეგობრების სახლთან დაყარონ. ბევრი დამტვრეული ჭურჭელი კართან ნიშნავს, რომ იქ მცხოვრებს ბევრი მეგობრები ჰყავს. საჭმელებიდან ტრადიციულია მოხარშული ვირთევზა, მოთუშული კომბოსტო, ღორის ნეკნები, შამპანური და მარციპანის მრგვალი ნამცხვრები. შუალამეს დამახასიათებელია აგრეთვე ხმაური და რაკეტების გასროლა, რომლებიც ცას ანათებენ.

ინგლისში ხალხი იკრიბება ტრაფალგარის მოედანზე და პიკადილის გზაჯვარედინზე, რათა მოისმინონ ”ბიგ ბენშ-ს ზარები, რომლებიც ახალი წლის შემოსვლას აუწყებს ხალხს. იქ შეკრებილები ხელჩაკიდებული დგანან და მღერაინ „Auld Lang Syne“-ს.

ინგლისშიც დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ ვინ შემოვა სახლში პირველი ახალ წელს. ეს უნდა იყოს ახალგაზრდა, ჯანმრთელი და კარგი გარეგნობის მამაკაცი, მას უნდა ჰქონდეს მუქი თმა და მოჰქონდეს ნახშირის პატარა ნაჭერი, პური და მარილი, რაც სიმდიდრის სიმბოლოს წარმოადგენს. ეს წესი თითქმის მთელი ევროპისათვის არის დამახასიათებელი. დამახასიათებელია აგრეთვე ხმაური და ზარები, რომელიც ავი სულების შესამინებლად არის განკუთვნილი. ეს ჩვეულება იქ ახლაც შემორჩა, სტუმრებს პატარა სასტვენებსა და სათამაშო დუღუკებს ურიგებენ.

საფრანგეთში ახალი წლის 1 იანვარს აღნიშნა 1582 წლიდან დაიწყო, მანამდე საზეიმო თარიღი 25 მარტი იყო. იქ ახალი წელი საოჯახო დღესასწაულია და დიდი ქეიფებითა და საჩუქრებით აღინიშნება.

გერმანიაში იყო ასეთი წესი - ახალ წელს გამდნარ ტყვიას ასხავდნენ ცივ წყალში და მის

მიერ მიღებული ფორმის მიხედვით მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. გულის ან რგოლის ფორმა ქორწილს ნიშნავდა, ნავი - მოგზაურობას, ღორი კი უამრავ საჭმელს მთელი წლის განმავლობაში. ახალი წლის ღამეს გერმანელები, თურმე, ყველანაირი ნაჭამი საჭმლის პატარა ნაწილს თეფშზე დებდნენ, რაც მათი აზრით სავსე ბელელს უზრუნველყოფდა. კობრი აგრეთვე შედიოდა მათ საახალწლო საჭმელებში, მას სიმდიდრე უნდა მოეტანა.

1 იანვარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბერძნეთისთვის, რადგანაც ის არა მარტო ახალი წლისდღეა, არამედ აგრეთვე წმინდაბასილის ხსენების დღეც. წმინდა ბასილი ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. იგი ახსოვთ მისი სიკეთისა და ხელგაშლილობის გამო ღარიბების მიმართ. ითვლება, რომ იგი გარდაიცვალა 1 იანვარს და ასეთნაირად მიაგებენ პატივს.

ყველაზე მნიშვნელოვანი საჭმელი საახალწლოდ წმინდა ბასილის ნამცხვარია, რომელშიც დებენ ვერცხლის ან ოქროს მონეტას. ნამცხვარი ნაწილდება მკაცრი მიმდევრობით. პირველი ნაჭერი ეკუთვნის წმინდა ბასილს, შემდეგ სახლის მასპინძელს, შემდეგ სუფრის უხუცეს წევრს და ასე ყველაზე უმცროსამდე მათი ჩათვლით, ვინც სუფრას არ ესწება. შეიძლება იყოს კიდევ ნაჭერი რქოსანი შინაური ცხოველისთვის და ღარიბებისთვისაც. ვისაც მონეტა შეხვდება, მთელი წელი ბედნიერი იქნება. გარდა ამ ნამცხვრისა, სუფრაზე აგრეთვე თაფლი, თხილი, ხილი, ზეთის ხილის ტოტები, რაც ბედნიერებისა და სიმდიდრის სიმბოლოა. ახალ წელს პირველ შემოსულ ადამიანს მოაქვს კარგი ბედი, ამიტომ სასურველია, რომ ეს იყოს მამა ან ბედნიერი ვაჟიშვილი. ბედნიერად ითვლება ბავშვი, რომელსაც ორივე მშობელი ჰყავს.

ინდოეთში ახალი წლის ზეიმი არის შუქების ზეიმი და სხვადასხვანაირად აღინიშნება ქვეყნის



ახალი წელი საფრანგეთში

სხვადასხვა ნაწილში. სახლები ნათდება ზეთის პატარა ლამფებით. ეს ლამფები ყველგანაა - სახლებშიც, ბაღებშიც და დიდ შენობებშიც. იგულისხმება, რომ ეს შუქები ავ სულებს განდევნის და შეცვლის მას კეთილებით.

ირლანდიელების ახალი წლის ზეიმი ცნობილია როგორც „სამჰაინი“, რაც ნიშნავს ზაფხულის დამთავრებას და აღინიშნებოდა 31 ოქტომბერს. ეს ზეიმი შემორჩა როგორც „ჰალოინი“. ითვლებოდა, რომ ამ დღეს გარდაცვლილთა სულები ბრუნდებოდნენ დედამიწაზე და მათ შეეძლოთ ხალხისთვის ზიანის მიყენება თუ რამე ზომები არ იქნებოდა მიღებული. კელტური მღვდლები მიდიოდნენ ტყეში ახალი წლის დამეს, რომ შეეგროვებინათ „ომელა“-ს ბალახი და ურიგებდნენ ხალხს რაიმე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. ავი სულების განსადევნად აგრეთვე კოცონებს ანთებდნენ.

პოლონეთში ახალ წელს წმინდა სილვესტერის დამე ეწოდება. ლეგენდის მიხედვით ეს სახელი მოდის რომის პაპის სილვესტერ I-გან. მას უნდა ჩაესვა ციხეში ურჩხული სახელად „დევიფან“, რომელსაც შეეძლო გაქცევა 1000-იანი წლის პირველ დღეს და დედამიწისა თუ ადამიანების შეჭმა და ცის დაწვა. ახალ წელს, როდესაც სამყაროს დასასრული არ დადგა, იყო დიდი სიხარული, რის შემდეგაც ამ დღეს წმინდა სილვესტერის დამე ეწოდა.

სკანდინავიელების ახალი წლის ტრადიციები უკავშირდება მათ ზამთრის ზეიმებს. ისინი უხვად იყენებენ განათებას, რითაც შხეს დაბრუნებისაკენ მოუწოდებენ.

რუსეთში სანტა კლაუსის ნაცვლად თოვლის ბაბუა არის, რომელიც ახალი წლის წინ მოდის სათამაშოებით სავსე გუდით. ბავშვები ცეკვავენ და მღერიან ნაძვის ხის გარშემო და ამბობენ ლექსებს. მთავარი საჭმელი კარტოფილის კერძები და ხორცია.

სამხრეთ ამერიკაში ახალ წელს ზარების რეკვითა და თოფების სროლით ხვდებიან. ქუჩებში საკარნაულო განწყობაა და ისმის დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა და ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი ცეკვავს.

ესპანეთში, როდესაც საათი 12 მიუახლოვდება, ჭამენ ყურძნის 12 მარცვალს, თითოს საათის ყოველ დარტყმაზე. ზოგჯერ ყურძენს შეიძლება ღვინოც დააყოლონ.

შვედური ახალი წლის ზეიმი ისეთივეა, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში - სვამენ შამპანურს, უყურებენ „ფეიერვერკს“ და იღებენ საახალწლო გადაწყვეტილებებს. ისინი დადიან ეკლესიაში, შვედურ მაგიდებთან და სვამენ „გროგს“.

შვეიცარიაში ზეიმობენ ძველი სილვესტერის



ახალი წელი საფრანგეთში

დღეს - 13 იანვარს იულიანური კალენდარით. ხალხი სეირნობს ქუჩებში სხვადასხვა „კოსტიუმებში“ გამოწყობილი. მათ ახურავენ ქუდები, რომლებიც კეთილ და ავ სულებს წარმოადგენენ. მათ სჯერათ, რომ ნაღების პატარა წვეთის დაცემას იატაკზე კარგი ბედი და სიუხვე მოაქვს.

შვედურულ შტატებში ახალი წელს ეწყობა ცეკვის საღამოები, რათა მთელი წელი მხიარული იყოს. „თაიმ სკვერში“ მაღალ ბოძზე მოთავსებულია დიდი ბურთი, რომელიც ზუსტად 12 საათზე ჩამოეშვება ქვევით. ისმის მილოცვები, მანქანების სიგნალები, სასტვენების, დუდუკების და შამპანურების გახსნის ხმა.

სამხრეთ ამერიკაში ხალი წლის ზეიმის დროს აკეთებენ ადამიან-თოჯინას, რომელიც გატენილია ძველი გაზეთებით და ფეიერვერკებით. თოჯინა სახლის გარეთ არის მოთავსებული და წარმოადგენს გასული წლის რაიმე ეპიზოდს. 12 საათზე მას უკიდებენ ცეცხლს, კვამლი ადის მაღლა და ფეიერვერკებიც ქრება. ძველ წელს იფიცებენ და იწყება ახალი წელი.

პუერტო რიკოში, სამხრეთ ამერიკელი ბავშვებს უყვართ შუალამისას წყლიანი ვედროების გადაგდება ფანჯრებიდან, მათი აზრით ეს ათავისუფლებს მათ სახლს ავი სულებისგან.

ბოლივიაში ოჯახები აკეთებენ პატარა ხის ან ჩაღის თოჯინებს და კიდებენ სახლის გარეთ, რასაც მათი აზრით კარგი ბედი მოაქვს.

მუსულმანებს აქვთ თავიანთი კალენდარი, რომელიც დაფუძნებულია მთვარის ფაზებზე. კალენდარი შედგება 12 თვისგან, ხოლო წელიწადი სხვა კალენრებისგან განსხვავებით, შეიცავს მხოლოდ 354 დღეს. ამიტომ ახალი წელი ყოველ წელს უკან

იწვევს.

ისლამური ახალი წელი მთელ მსოფლიოში ტარდება ძალიან მშვიდად, ზეიმების გარეშე. ახალი მთვარის გამოჩენა აღინიშნება მეჩეთებში განსაკუთრებული ღოცვებით. ახალი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია "მედინას გაფრენის" ამბავი, რომელიც ყველასათვის მოსასმენად გადაიცემა რადიოთი. ეგვიპტეში ისლამური ახალი წელი გაცილებით საზეიმოდ აღინიშნება.

იაპონელები ახალ წელს 1 იანვარს აღნიშნავენ. ეს იქაც საოჯახო ზეიმი და 2 კვირა გრძელდება. ავი სულელებისგან თავის დასაცავად ისინი სახლის გარშემო ჩალის ბაწრებს კიდებენ, რაც კარგი ბედის მომტანია. როდესაც ახალი წელი შემობიძვებს, იაპონელები სიცილს იწყებენ, რაც აგრეთვე კარგ ბედს მოუტანს მათ მომდევნო წელს. ძველ წელს ისინი ტაძრის ზარებით აცილებენ. შემდეგ მოდის ღამის საათის ზარები, რომლებიც ზუსტად 108-ჯერ რეკენ, რაც ნიშნავს მორწმუნეთა გათავისუფლებას 108 „მიწიერი სურვილისაგან“, რომლებიც მიუღებელია ბუდისტური კანონის მიხედვით. ეს ზარები ათავისუფლებს ახალ წელს ავი სულელებისაგან. ხშირად სახლს რთავენ მარადმწვანე მცენარეებითა და ბამბუკით რაც პატიოსნების სიმბოლოა.

ებრაული ახალი წელი ყოველთვის სხვადასხვა დღეს მოდის, მას "რაშაშანა" ეწოდება. ახალი წლის ღამეს ეწეობა სადილი, ახალი ხილით გაწყობილ მაგიდაზე ენთება საზეიმო სანთლები. სუფრაზე უნდა იყოს პური, რომელსაც „ხალა“ ეწოდება, თაფლის ნამცხვარი, ქილა თაფლით, ხილი, განსაკუთრებით ყურძენი და თევზი, რაც ნაყოფიერების სიმბოლოა. ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი არის რქის საყვირის ხმის გაჟღერება.

ტრადიცია მოგვითხრობს სიმბოლურ წიგნზე, რომელიც არის ცაში და იმ წიგნში წერია თუ რა მოიმოქმედა ადამიანმა კარგი ან ცუდი და „რაშაშანას“ დროს ყველამ უნდა აგოს პასუხი ღმერთის წინაშე თავის ნამოქმედარზე გასულ წელს. ამავე დროს, მათ ეძლევათ 10 დღე ახალი წლის წინ ცოდვების გამოსასყიდლად. მონანიების კულმინაცია არის 24 საათიანი შიმშილი, რომელიც მზის ჩასვლის შემდეგ მთავრდება და ამ დღეს „იომ კიპური“ ჰქვია. ისევ ისმის საყვირის ხმა, რაც ნიშნავს, რომ „ცხოვრების წიგნში იხურება. მასში უკვე ჩაწერილია ადამიანების ბედი შემდეგი წლისათვის.

ტიბეტური ახალი წელი ცნობილია როგორც „ლოსარი“. ტიბეტელები ბუდისტური სარწმუნოების მიმდევრები არიან. მათი ლიდერი დალაი-ლამაა და როდესაც იგი გარდაიცვლება მისი სული გადადის ახალშობილში. ისინი ცდილობენ იპოვნონ ბიჭი, რომელიც დაახლოებით დალაი-ლამას სიკვდილის

დროს დაიბადა. ბიჭს აძლევენ განათლებას და როდესაც იგი გარკვეულ ასაკს მიაღწევს რელიგიურ მოვალეობას კისრულობს.

იქ ახალი წელი აღინიშნება იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში, ახალი მთვარის დროს. ძველი წლის ბოლო დღე სახლის დასუფთავებას ეძღვნება, განსაკუთრებით სამზარეულოსი. იწმინდება აგრეთვე საკვამლე. ახალი წლის პირველი დღისათვის სპეციალური წვნიანი მზადდება, რომელიც 9 შემადგენელს შეიცავს - ხორცს, ხორბალს, ბრინჯს, ტკბილ კარტოფილს, ყველს, მუხუნოს, მწვანე წიწკას, ვერმიშელს და ბოლოკს. სუპს მიირთმევენ ხინკლისმაგვარ კერძთან ერთად, რომელიც შეიცავს ხის ნარჩენებს, ქაღალდს და ხრემს, რის საშუალებითაც წარმეტყველებენ როგორი მომავალი ელით - კარგი თუ ცუდი.



ახალი წელი ტიბეტში

მეორე დღე რელიგიურ ცერემონიებს ეძღვნება. მიდიანმონასტერში, მიაქვთ საჩუქრები ბერებისათვის. ისინი იყენებენ მაშხალებს ავი სულელების გასადევნად. ახალი წლის დილას ადრე დგებიან, ადიდებენ ღმერთს სახლის წმინდანებთან, დებენ მათ წინაშე ცომისაგან გაკეთებულ ცხოველებსა და დემონებს. შემდეგ იშლება სუფრა, ხდება საჩუქრების გაცვლა. ახალი წლის მეორე დღე ეძღვნება მეგობრების მონახულებას და გართობას.

რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმყოფებოდეთ და რომელ ტრადიციებსაც არ უნდა მისდევდეთ, ყველას მოგილოცავთ დამდეგ დღესასწაულს, ბედნიერ და მშვიდობიან 2011 წელიწადს გისურვებთ!

მოაშხადა  
მერი ცისკარიძე



# გერმანიის ქართული სათვისტომო 65 წლია!

## ამ ქართველები ერთად ვართ ყველა!

2010 წლის 6 ნოემბერს გერმანიის ქართულმა სათვისტომომ თავისი არსებობის 65 წლის იუბილე აღნიშნა. 1945 წელს დაარსებულმა გაერთიანებამ თავისი განვითარების მანძილზე სხვადასხვა ეტაპები განვლო და აქტიურ კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, მან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

საზეიმო საღამო, რომელსაც 300-მდე სტუმარი ესწრებოდა, სათვისტომოს რიგით მერვე თავმჯდომარემ, დოქტორმა ლერი დათაშვილმა გახსნა. იგი გულითადად მიესალმა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან (ბერლინიდან, ბონიდან, ბრემენიდან, ჰამბურგიდან, ლაიფციგიდან, ნიურნ-ბერგიდან, რეგენსბურგიდან, შტუტგარტიდან...) ჩამოსულ ქართველებს, საქართველოს გერმანელ მეგობრებს, გერმანულ-ქართული ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ქართული სათვისტომოების წევრებს. მან უნიკალური საარქივო ფოტომასალა წარმოადგინა და ვრცლად ისაუბრა სათვისტომოს ჩამოყალიბებისა და მისი ისტორიის შესახებ. ბატონმა ლერიმ გერმანიაში ემიგრანტთა განსხვავებული ტალღების არსებობაზე გაამახვილა ყურადღება და სათვისტომოს შესაბამის ცვლილებებს შეეხო. „ბატონი კარლო ინასარიძე მეუბნებოდა ხოლმე, რომ პოლიტიკის გარეშე არ უნდა დარჩენილიყო სათვისტომო (ის ხომ სულ ებრძოდა სსრკ-ს თავისი სიტყვით, ხოლო საქართველოში პოლიტიკას არა ქართველები, არამედ იმპერია განსაზღვრავდა). მიუხედავად საქველმოქმედო ორგანიზაციად გარდაქმნისა, პოლიტიკიდან შორს ვერ წავედით რუსული აგრესიის გამო, ანუ საქართველოს საგარეო საფრთხეების გამო, და ერთად ვიდევით

ქართველნი და ქართველთა მეგობარნი. ასევე საქართველოს შიდა საქმეებშიც. მიუღებელია აქ, საქართველოს საზღვრებს გარეთ, შიდა პოლიტიკური სხვადასხვაობის გადმოტანა, ვინაიდან, მიუხედავად ემიგრაციის პოლიტიკური სიჭრელისა, საქართველო ჩვენთვის ერთ მთლიანობას წარმოადგენს და მას ჰქვია ჩვენი სამშობლო – თავისუფალი საქართველო.”

ბატონმა ლერიმ ინგოლშტატის ქართული კამერულ ორკესტრს „სათვისტომოს საპატიო წევრ ორგანიზაციად“ არჩევა მიულოცა. აღსანიშნავია, რომ ორკესტრი პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც მსგავსი წევრობა მიიღო.

„აქ ქართველები ერთად ვართ ყველაო“ – სიხარულით დაასრულა თავისი გამოსვლა თავმჯდომარემ და სიტყვა პროექტების ხელმძღვანელებს გადასცა, რომელთაც თავიანთი მოხსენებებით გერმანიის ქართული სათვისტომოს საქმიანობის მრავალფეროვანი არეალი გააცნეს დამსწრე საზოგადოებას.

სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარემ ბატონმა ვახტანგ ჩხაიძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში გაიხსენა საზოგადოების ყოფილი ხელმძღვანელები – სანდრო კორძაია (1945-1953 წწ.), გიორგი მაღალაშვილი (1953-1958 წწ.), ვანო ანდრონიკაშვილი (1958-1962 წწ.), ნიკო ნაკაიძე (1962-1967 წწ.), გიორგი ვეფხვაძე (1967-1984 წწ.) და ქრისტეფორე კირკიტაძე (1984-2001 წწ.). „მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ყველას პირადად ვიცნობდი, ბევრ მათთაგანთან ვმეგობრობდი კიდევ. მე ვიცნობდი მათ კეთილშობილურ რწმენას და მათ პატრიოტულ იდეალებს. დარწმუნებული ვარ, ისინი, როგორც საკუთარი ქვეყნის საამაყო შვილები, დამსახურებულ ადგილს დაიკავებენ სამშობლოს ისტორიაში.“ თავად ბატონი ვახტანგი



გერმანიის ქართულ სათვისტომოს გარდამავალ პერიოდში სამი წლის მანძილზე ედგა სათავეში.

„როცა 65 წლის იუბილეზე ვსაუბრობთ, უნდა გავიაზროთ, რომ ეს ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის ძალიან დიდი დროა, ზოგისთვის ცხოვრების ნაწილია და ზოგისთვის მთელი ცხოვრებაა. მთელი ცხოვრება, რომელიც აქ მყოფმა უზუცესმა ქართველებმა უცხოეთში ქართული სულის, ტრადიციის, ენის და კულტურის შენარჩუნებას მიუძღვნეს... მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც არ იფიცებს თავის კულტურას, უვლის და უყვარს თავისი, შეუძლია განიცადოს სრულყოფილი ინტეგრაცია უცხო ქვეყნის საზოგადოებაში.“  
– აღნიშნა დეკანოზმა თამაზმა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მიუნხენის ქართული ეკლესიის სახელით მიესალმა სტუმრებს და სათვისტომოს დაარსებიდან 65 წლისთავი მიულოცა.

ამ თარიღის მოსალოცად მიუნხენს ბერლინის ქართული სახლის წევრები ეწვივნენ. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს ძველი თაობის წარმომადგენლებს, რადგან მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართულ დიასპორას, რომელიც მაგალითი გახდა სხვა მრავალი საზოგადოებების შექმნისა და მოღვაწეობისათვის. „ამ საღამოს შეკრებილი საზოგადოებისათვის ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოქმედი დიასპორის არსებობა თითოეული სამშობლოდან დაშორებული ქართველის ყოფიერებაში“. სწორედ ამ მადლიერების გამოხატვა გახდა ბერლინის ქართული სახლის მიერ დაწესებული ორდენები, რომლებითაც მათ გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე და წევრები

(ქრისტეფორე კირკიტაძე, ვახტანგ ჩხაიძე, თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტი, კონსტანტინე მაღალავი) დააჯილდოვეს.

შეხვედრაზე დასასწრებად ყველაზე დიდი გზა ქალბატონმა ნატალია კაპანაძემ განვლო. იგი გერმანიაში ქალაქ ათენიდან ჩამოვიდა და იქვე 2006 წელს დაარსებულ „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირს“ წარმოადგენდა. ქალბატონმა ნატალიამ სტუმრებს თავიანთი ორგანიზაციის საქმიანობა გააცნო და საქართველოს საზღვრებს





გარეთ მცხოვრებ ქართველებს გაერთიანებისაკენ და სამშობლოს კეთილდღეობისათვის სასიკეთო საქმეების კეთებისაკენ მოუწოდა. “მთელ მსოფლიოში გაბნეულ ქართველ ემიგრანტებს გაერთიანებას ვუსურვებთ, რათა ერთ დღეს ყველანი ერთად დაუდგეთ საქართველოსაკენ მიმავალ გზას. მოსეს ალთქმული ქვეყანა ჩვენთვის საქართველოა!”

მისასაღმებელ სიტყვებსა და საზეიმო გამოსვლებს საკონცერტო ნომრები ენაცვლებოდა. სათვისტომოს სიმღერის გუნდ „იბერიისთან“ ერთად საღამო გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა ხელოვანებმა გაალამაზეს. მათ შორის იყვნენ ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრის წევრები და ჯგუფი „The Shin“. ამ უკანასკნელის მუსიკამ სტუმრები ადგილზე ააცკკვა და ყველა შინისაკენ, საქართველოსაკენ გაიტაცა.

საიუბილეო შეხვედრას არც ქართული კერძები და ღვინო აკლდა და არც მესვეურთა ყურადღება.

დასასრულს, ისევ დეკანოზ თამაზის სიტყვებს მოვიშველიებ: „უფალი ბრძანებს: თუ ორნი ან სამნი ჩემი სახელით შეიკრიბებიან მე უკვე ვარ მათ შორის“. ამ საღამოს ასე შეგვიძლია ვთქვათ: თუ ორი, სამი ან, ისე როგორც დღეს, ბევრი ქართველი შეიკრიბება სამშობლოს ხსოვნით და სიყვარულით, მაშინ იქვე, მათ შორის არის საქართველოც”.

ნოემბრის იმ საღამოს მიუნხენში შეკრებილთა გულებში ნამდვილად იყო საქართველო, იყო ურთიერთგაგება და იმედი – იმედი გაერთიანებისა, იმედი დაბრუნებისა და უკეთესი მომავლისა.

ნ. ხაბელაშვილი

# ქართული

## ქართული მხედარეთმთავრები

### ქაქუცა ნოღაიშვილი

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი დაიბადა 1888 წლის 14 ივლისს სოფელ მატანში, იოსებ ჩოლოყაშვილის და დარო გოგინაშვილის ოჯახში. იგი იყო 1659 წლის კახეთისაჯანყების სულისჩამდგმელის-ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალი. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 21 წლის ასაკში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჯარში გაიწვიეს, მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში. 1913 წელს ცოლად შეირთო ნინო მეღვინეთუხუცესი, რომელთანაც შეეძინა ორი ასული: თამარი და ქეთევანი.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ქაიხოსრო ომში გაიწვიეს. 1914 წელს იგი ავსტრიის ფრონტზე დაიჭრა. დაჭრილი ჩოლოყაშვილი თბილისის წმინდა ნინოს სახელობის საავადმყოფოში იწვა. ამის შემდეგ იგი კავკასიის ფრონტზე იქნა გადაყვანილი. აქ იგი ერთ-ერთი

პირველი ჩაეწერა ქართულ ცხენოსანთა რაზმში.

სარიყიმიში ჩადენილი გმირობისათვის ქაქუცა ოქროს ხმლით დააჯილდოვეს. თავისი ასეულით ჩოლოყაშვილმა დიდებული სამხედრო რეიდი შეასრულა და მესოპოტამიის უდაბნოს გავლით შეუერთდა ინგლისელებს.

ამასობაში საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას და ქაიხოსრო უკვე თავის საამაყო სამხედრო კარიერას სუვერენული სამშობლოს ჯარში აგრძელებს. სამწუხაროდ მას დიდხანს არ დასცალდა მამულისადმი სამსახური.

ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს, როცა ბათუმის ნავსადგურიდან საქართველოს მთავრობის თითქმის მთელმა შემადგენლობამ დატოვა საქართველო, მათ ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ გაჰყოლიათ. იგი ამ დროს სამეგრელოში იმყოფებოდა, სადაც ჯერ კიდევ საქართველოს ოკუპაციამდე იქნა

მივლინებული რუსეთის ჯარის საწინააღმდეგო ცხენოსანი არმიის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი დაუცხრომელი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის მოაზრებებთან ერთად ტყეში გაიჭრა და პარტიზანულ ბრძოლას შეუდგა. ხევსურეთში რაზმის წევრებმა სახეიმოდ შეჰფიცეს, რომ მედგრად ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. რაზმის წევრებს “შეფიცულები” ეწოდათ, ქაქუცა კი მათი ბელადი გახდა, ასევე იხსენიებენ მას შემდგომში თანამებრძოლები.

1922 წლის ივნისში სიღნაღთან მოხდა პირველი შეტაკება წითელი არმიის ნაწილებთან. 1922 წლის ზაფხულში ამბოხებამ იფეთქა ხევსურეთში, რომელიც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო. უამრავი ადამიანი იქნა გაჟლეტილი, მაგრამ მტერმა ქაქუცას კვალს მაინც ვერ მიაგნო.

ამასობაში ქაქუცა ჩეჩნეთში გადავიდა, რათა ჩეჩნები შემოეერთებინა და ერთად ეომად რუსების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, გაერთიანებული ძალებით შეტევა მაინც ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ ჩოლოყაშვილი დაბრუნდა საქართველოში და ახალი ბრძოლებისათვის დაიწყო მზადება.

1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 6 საათზე დანიშნული იქნა უმთავრესი ამბოხება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დასავლეთ საქართველოსაც. სამწუხაროდ ცენტრთან შეუთანხმებელი მოქმედების და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა დესტრუქციული საქმიანობის შედეგად, ქალაქ ჭიათურაში გამოსვლები დაიწყო 24 საათით ადრე - 28 აგვისტოს. ამან დიდი დადი დაასვა აჯანყების შემდგომ მსვლელობას. მართალია აჯანყებულებმა შეძლეს ჭიათურისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის, მაგალითად, სენაკის, სამტრედიისა და სხვათა აღება და იქ საქართველოს ემიგრირებული მთავრობის იურისდიქციის აღდგენა გამოაცხადეს, მაგრამ აჯანყება განწირული იყო. მიუხედავად სახალხო ხასიათისა, აჯანყება მოკლებული იყო კოორდინაციას და სიტუაციის რეალურ შეფასებაზე დამყარებულ გეგმას.

ორკვირიანი უმძიმესი ბრძოლების შემდეგ, აჯანყება სისხლში ჩაახშეს წითელი არმიისა და ჩეკას ნაწილებმა. სამხედრო ოპერაციას თან ერთვოდა 1924 წლის 30 აგვისტოდან სექტემბრის დამლევამდე განხორციელებული რეპრესიები, რომელმაც საერთო ჯამში თორმეტი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1924 წლის 29 აგვისტოს, ჩოლოყაშვილის რაზმმა მთლიანად აიღო მანგლისი. 1924 წლის 3

სექტემბერს დალაშქრა დუშეთი, 6 სექტემბერს კი სვიმონიანთხევეში მოხდა სახელგანთქმული ხევ-გრძელას ბრძოლა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი 100 შეფიცულის თანხლებით ტყეში იმყოფებოდა, როცა წითელ რაზმელებმა შენიშნეს. ისინი ორად გაიყვნენ, რათა სხვადასხვა მხრიდან დასხმოდნენ თავს შეფიცულებს. ტყიდან ქაქუცა მათ სამზადისს კარგად ხედავდა. ჩოლოყაშვილის ორი ჯგუფი ფეხაკრეფით გაემართა წითლებისკენ. წითელ რაზმელების ავანგარდი ამ ჯგუფების შუაში მოექცა. შეფიცულებმა ორივე მხრიდან ერთდროულად დაუშინეს ტყვიები. ბოლშევიკები დაფრთხნენ და გაიქცნენ. წითლების მეორე რაზმი მარცხნიდან მოდიოდა. მოულოდნელად შეფიცულთა ერთი ნაწილი ახალმოსულ და გაქცეულ წითელ რაზმელებს შუა აღმოჩნდა. მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ, დაბნეულმა ბოლშევიკებმა ტყვიები ერთმანეთს დაუშინეს. თავისი უბადლო სამხედრო ტალანტის გამოვლინებით ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ასეულობით რუს ჯარისკაცს ერთმანეთი დაახოცვინა.

1924 წლის აჯანყების დამარცხებისა და საქართველოში დატრიალებული სასტიკი სადამსჯელო ღონისძიებების შემდეგ უკვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.



1924 წლის სექტემბერში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თანამებრძოლებთან ერთად დატოვა საქართველო და თურქეთის გავლით ტრაპიზონიდან გეზი საფრანგეთისკენ აიღო. ბედის ირონიით, ადამიანი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის არმიას მწარე დამარცხება აგემა სარიყამიშშთან, ხიშტზე წამოცმული თეთრი დროშით გადავიდა საზღვარზე და ოსმალეთს სთხოვა თავშესაფარი. ბედის კიდევ ერთი დაცინვა იყო ისიც, რომ კომუნისტი ქართველების მიერ ბანდიტად შერაცხულ და სამშობლოდან გამოდევნილ პატრიოტს თურქმა ოფიცერმა, ვინც მიიღო ლტოლვილი ქართველები, პატივისცემის ნიშნად იარაღი არ ააყრევინა. ოსმალეთიდან ქართველთა რაზმი საფრანგეთის გზას დაადგა. ქაქუცამ დიდი გაჭირვებით მოახერხა რომ მისი ყველა რაზმელისათვის მიეცათ ჯერ საფრანგეთში და მერე პარიზში გამგზავრების უფლება, რადგან ოსმალეთში მყოფი სოციალ-დემოკრატები მაინცდამაინც დიდი აღტაცებით არ დახვედრიან ახალ ლტოლვილებს.

ემიგრაციაში შეფიცულები დუხჭირად ცხოვრობდნენ. ისინი საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში გაიფანტნენ, თავად ქაქუცა პარიზში დაბინავდა. ქაქუცას არ სურდა თავისი თანამებრძოლების დაქსაქსვა და ამის გამო პარიზის მახლობლად ვიროფლეში იქირავა სახლი, სადაც სიცოცხლის ბოლომდე შეფიცულებთან ერთად ცხოვრობდა და მათზე ზრუნავდა.

ავსტრიის ფრონტზე და შემდეგ სარიყამიშში მარჯვენა ფილტვში მიყენებულმა მძიმე ჭრილობამ ემიგრაციაში იჩინა თავი. თანამებრძოლებმა მოახერხეს ქაქუცა მოეთავსებინათ ოსტსაუას სანატორიუმში, მაგრამ მკურნალობამ ამაოდ ჩაიარა და 1930 წლის 27 ივნისს ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა.

ანდერძისამებრ, მისი ნეშტი უნდა დაქვავთ, რომ როდესმე მაინც ამ გზით უფრო იოლად მოეხერხებინათ მისი საქართველოში ჩამოსვენება, მაგრამ მეგობრებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ სინამდვილეში ქაქუცას საშინლად სძულდა კრემაცია, თავისი გაიტანეს და ერთმანეთში შეგროვილი ფულით იგი დაკრძალეს პარიზის მახლობლად, სენტ-უანის სასაფლაოზე.

მოგვიანებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი გადასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. თუმცა ამ იდეას მრავალი დევნილობაში მყოფი ქართველი პატრიოტი ეწინააღმდეგებოდა იმ მოსაზრებით, რომ ლევილის სასაფლაოზე დაკრძალული იყო პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე - ნოე ჟორდანიას.

სოციალისტური მმართველობის ჟამს სასტიკად იკრძალებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის ხსენებაც კი. იგი მიიჩნეოდა საბჭოთა

ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ბანდიტად. მრავალი ათეული წლის მანძილზე მისი ოჯახის წევრები, ნათესავები ახლობლები და მეგობრები სასტიკ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ საბჭოთა საქართველოს მესვეურთაგან. დეპრესიული ქმედებები ჩოლოყაშვილის თანამოაზრეთა წინააღმდეგ არ შემწყდარა მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე.

ქაქუცას სახელის რეაბილიტაცია დაიწყო 1988 წლიდან. შემოდგომაზე, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა თბილისში, იპოდრომზე გამართულ მიტინგზე, შინდისფერ დროშებთან ერთად ააფრიალეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათები, ყველამ გაიგო ვინ იყო ქაქუცა და რა ღვაწლი მიუძღვოდა მას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. 1989 წლის 14 ივლისს, სოფელ მატანში ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ფართო საზოგადოებასთან ერთად აღნიშნეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების 101 წლისთავი.

მხოლოდ 75 წლის შემდეგ ახდა საქართველოს ეროვნული გმირის ოცნება და მისი ცხედარი სამშობლოს მიწას მიაბარეს. 2005 წლის 20 ნოემბერს პარიზიდან სპეციალური ავიასერვისით ჩამოასვენეს მისი ნეშტი. თბილისის აეროპორტში მის საპატივცემულოდ შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი. ცხედარს პატივი მიაგეს პრეზიდენტმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. მოგვიანებით მისი ნეშტი გადაასვენეს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მეორე დღეს, 2005 წლის 21 ნოემბერს, ქართველმა ერმა ღირსეული პატივი მიაგო ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ათიათასობით ადამიანმა უკანასკნელ გზაზე გააცილა იგი და მისი ცხედარი ჯერ მამადავითის მონასტერში დაასვენეს, ხოლო პანაშვიდის გადახდის შემდეგ მთაწმინდის მწვერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

*მოზნადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“  
პროექტ „მთავარსარდლის“  
ლიტერატურული სცენარის მიხედვით  
ავტორი ლევან უმიკაშვილი*



# რეზიზანა

## შობის მარხვა

კალენდრის მიხედვით შობის მარხვა უკანასკნელი მრავალდღიანი მარხვაა. იგი იწყება 15 ნოემბერს ძველი სტილით (ახალი სტილით - 28 ნოემბერს) და 25 დეკემბრამდე (ახალი სტილით - 7 იანვრამდე) გრძელდება. იგი ორმოცდღიან პერიოდს მოიცავს. საეკლესიო ტრადიციით, ამ მარხვას ფილიპე მოციქულის ხსენების დღესაც უკავშირებენ (ძვ. სტ. 14, ახლით - 27 ნოემბერი).

საშობაო მარხვა ქრისტეშობის დღესასწაულისადმი მომზადების პერიოდია. ლეონ დიდი წერს: „მარხვის შენახვა წელიწადის ოთხივე დროში გვიხდება, რათა მთელი წლის განმავლობაში ვაცნობიერებდეთ, რომ განუწყვეტლოვ ვსაჭიროებთ განწმენდას; რათა ჩვენს დაუდევარ ცხოვრებაში ყოველთვის ვცდილობდეთ მარხვითა და მოწყალების გაღებით შევძუსროთ ცოდვა, რომელიც მრავლდება ხორცის უძღურებითა და უწმინდური ზრახვებით“.

ლეონ დიდის სიტყვებით, საშობაო მარხვა არის უფლისადმი გაღებული მსხვერპლი წლის განმავლობაში მოწეული ნაყოფისათვის. „როგორც უფალმა უხვად მოგვამდლა მიწიერი ნაყოფი, - წერს წმიდანი, - ასევე ამ მარხვის განმავლობაში ჩვენც გულუხვი და მოწყალე უნდა ვიყოთ გლახაკთა მიმართ“.

სვიმეონ თესალონიკელის სიტყვებით, „შობის მარხვა მოსეს მარხვას განასახიერებს, რომელმაც ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ უფლისაგან ქვის ორი ფირფიტა მიიღო, რაზეც ამოტვიფრული იყო უფლის სიტყვები. ჩვენ კი, ორმოცი დღის მარხვის შედეგად, ვიხილავთ და ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან ვღებულობთ ცოცხალ სიტყვას, რომელიც ამჯერად ქვებზე კი არ არის ამოტვიფრული, არამედ ხორცშესხმული და ხორციელად შობილია, რომლის ღვთაებრივ სისხლსა და ხორცს ვეზიარებით“.

საშობაო მარხვა დაწესებულია იმისთვის, რომ ქრისტეშობის დღესასწაულისათვის თავი სინანულით, ლოცვითა და მარხვით განვიწმიდოთ, რათა წმიდა

გულით, სულითა და სხეულით შევძლოთ მოწიწებით მივეახლოთ ამქვეყნად მოვლენილ ძე ღვთისას; გარდა ჩვეულებრივი ძღვენისა და მსხვერპლისა, მას ჩვენი წმიდა გული მიუძღვნათ.

ეკლესიის ისტორიას შობის მარხვის შესახებ ცნობები IV საუკუნეშივე მოეპოვება. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცნობებს ვხვდებით XIV საუკუნემდე, უფრო ზუსტად სვიმეონ თესალონიკელამდე. უფრო ადრე (XII საუკუნეში) ფრიად საინტერესოდ და დაწვრილებით მოგვითხრობენ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბალსამონი და ერთ-ერთი იმდროინდელი საეკლესიო კრება, XI საუკუნეში - ანასტასი სინელი და ისააკ კათალიკოსი. საინტერესო ცნობებია დაცული X საუკუნის საეკლესიო კრების ოქმებში, რომელიც იმპერატორ კონსტანტინესა და რომანოზ უფროსად წოდებულის დროს იქნა მოწვეული. ცნობებს ვხვდებით ნიკიფორე პატრიარქის კანონებში (IX ს.), საბა განწმენდილისა (V ს.) და ლეონ რომის პაპის (V ს.) ნაწერებში, 570 წლის ტურის II კრების ოქმებში, ნეტარ ავგუსტინესთან.

ყველა ეს ცნობა გვაუწყებს, რომ შობის მარხვა, ისევე, როგორც სხვები, უძველესი დროიდან მომდინარეობს (ჯერ კიდევ IV საუკუნის მოღვაწე ფილასტრი წერს, რომ მაცხოვრის შობის წინ აუცილებლად უნდა ვიმარხულოთ) და გვიჩვენებს, რაოდენ ღრმად უდევს ფესვები მარხვის საეკლესიო ტრადიციას.

ეკლესიის ისტორიის მკვლევარები შენიშნავენ, რომ შობის მარხვის ხანგრძლივობა თავდაპირველად მკაცრად განსაზღვრული არ ყოფილა. მაგალითად, ტურის მეორე საეკლესიო კრების კანონი გვაუწყებს, რომ ბერებმა „დეკემბრიდან ქრისტეშობამდე უნდა იმარხულონ“; მატისონის 582 წლის კრების მიხედვით, ეს მარხვა იწყებოდა წმინდა მარტინის ხსენების დღეს (25 ნოემბერს ახ. სტილით) და გრძელდებოდა ქრისტეშობამდე. აქვე მითითებულია, რომ სამარხვო დღეები ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი იყო. გალიის ერთ-ერთი კრების ჩანაწერთა

თანახმად, ქრისტეშობამდე მორწმუნენი ერთი კვირა მარხულობდნენ. ამასვე მოწმობს ანასტასი სინელიც: „ზოგიერთგან, აღმოსავლეთში, ამ მარხვის ხანგრძლივობა შემცირებული იყო ერთ, ზოგჯერ - ორ კვირამდე ან თორმეტ დღემდე“.

თვით ანასტასის ამ მარხვის კანონიერ დასაწყისად ფილიპე მოციქულის ხსენების დღე მიაჩნია.

პატრიარქ ბალსამონისა და მის თანამედროვეთა განმარტებით, „ის, ვინც არ მარხულობს შვიდ დღეს მაინც, საერთო თუ კლიროსნი, მართალთაგან უნდა განეყენნენ, ხოლო ბერებმა, რომელთაც კანონი ავალებთ, უნდა იმარხულონ 27 ნოემბრიდან (ახ. სტ. - ლ.მ.) და შეასრულონ ტიპიკონის მოთხოვნა“.

პატრიარქ ლუკას მოსაყდრეობის პერიოდში, იმპერატორ მანუელის დროს, 1166 წელს მოწვეულ კრებაზე დადგინდა, რომ შობის მარხვა 40 დღე უნდა

გრძელდებოდეს.


შობის მარხვა დიდმარხვასთან შედარებით მსუბუქია. მას ვიცავთ ისე, როგორც მოციქულთა მარხვას. ამ მარხვათა დროს, როგორც წესი, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, თვით ბერ-მონაზვნებისთვისაც კი დაშვებული იყო თევზის, ზეთისა და ღვინის ზომიერად მიღება. საზოგადოდ კი, ისევ უნდა შევნიშნოთ: მარხვის სიმკაცრე და სიმსუბუქე ყოველთვის დამოკიდებული იყო (და ასეა დღესაც) მწყემსმთავრის ლოცვა-კურთხევაზე.

**ლევან მათეშვილი**

ჟურნალი „კარიბჭე“, № 10, 2004 წ.

**ნათია თარაშვილი**

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, № 44 (302), 2004 წ.



## ლეონა ლენა

## ზუსტ მოზიძის და მკურნ მოზიძის დედა-მედიცინის აქტი

2004 წელი. პაპანაქება ზაფხულია – 31 ივლისი უნდა გათენდეს. შუალამეა, ღამის 4-ის ნახევარია. მოხუცი, 80 წელს მიტანებული, უკურნებელი სენისგან განაწამები დედა სიკვდილს ებრძვის. მასთან მხოლოდ მისი ერთადერთი ვაჟია. დედა შვილის მკლავებში ამთავრებს სიცოცხლეს. შვილი არავის ეძახის, მარტო რჩება დედასთან. შვილი ტირის დიდხანს, ებოდიშება გარდაცვლილ, ჯერაც ისევ თბილ დედას... ყველაფერს ფასი აქვს დაკარგული – სასოწარკვეთასაც, იმედსაც, ქმედებასაც, უმოქმედობასაც, ბატონობს ტრაგიზმი, რომლის ფონზე ყველაფერი უფერულია.

დედის ტანჯვისგან დაღლილი შვილი დედის ცხედარს უწვება გვერდით და ძილბურანში ჩაკარგული ელის განთიადს, პირველ მზის ამოსვლას

დედის გარეშე. დაე, მუდამ იყოს მზე! დაე მუდამ იყოს დედა...

არავინ იცის, ახსენდება თუ არა საკუთარ ბავშვობაში პოპულარული საბავშვო ჰიტი, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ მუდამ მხოლოდ მზე იქნება და მუდამ ვერ გვეყოლება დედები. ვიცით, მაგრამ არ გვჯერა, უფრო სწორად არ გვინდა დავიჯეროთ...

ამოდის მზე. შვილი დედის მეზობლებს აგებინებს დედის დაღუპვის ამბავს.

მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი ქალიც დიდი არტისტია და შვილიც, ეს არც სცენაზე ხდება და არც გადასაღებ მოედანზე, მათ წინ არც პარტურია და არც კამერა. აქ ყველაფერი ნამდვილი და ტრაგიკულია.

მიუხედავად იმისა, რომ დედა ელენე ყოფშიძეა, ქალი-ლეონა, ის ნამდვილად კვდება და შვილი

- ზურა ყიშიძე, რომელსაც არაერთხელ ჰყავს ატირებული მაყურებელი, თავად ტირის ნამდვილი და არა გლიცერინის ცრემლებით.

ისინი არასოდეს მდგარან სცენაზე ერთად, ისინი მხოლოდ ცხოვრებაში იდგნენ ერთად. ელენე ყიფშიძე – ჩემი თაობისთვის ზურას დედა, დღევანდელი თინეიჯერებისთვის გიორგი ყიფშიძის ბებია. თუმცა იყო დრო, ზურა იყო „ლენას ბიჭი“.

## ლეგენდა, სახელად...

იყო მითური და იქით ამსხვრევდა მითებს, მითს იმახედ, რომ პოპულარობა მხოლოდ კინოს მოაქვს, რომ თეატრი უძღურია დიდი პოპულარობისთვის.

ის არ გააკარეს ქართულ კინოს, სულ რამდენიმე ეპიზოდური როლი ითამაშა კინოში, მაგრამ იყო პოპულარული, ისე პოპულარული, რომ ამ დონის პოპულარობა ბევრ კინოგარსკვლავს არც დასიზმრებია. ის იყო არტისტი, რომლის გულისთვისაც დადიოდნენ თეატრში; იყო ქალი, რომლის მჩქეფარე პირადი ცხოვრება აღელვებდა ყველას, მასზე თხზავდნენ მითებს, ჭორისა და სინამდვილის კოქტეილს, სახელად „ლენას“ სვამდა ყველა, მას მთელი ცხოვრება თან სდევდა მითური შლეიფი, რომელიც თან ჩაიტანა სამარეში. დასრულდა მისი სცენიური და ამქვეყნიური სიცოცხლე, მაგრამ არ დასრულდა ლეგენდა ლენაზე.

## ზურას 60-ე დღი

1925 წელს, ილია ჭავჭავაძის მარჯვენა ხელისა და თანამებრძოლის გრიგოლ ყიფშიძის ვაჟს - ვასილ ყიფშიძეს ნაბოლარა ქალიშვილი შეეძინება. ელენე მუხუთე შვილია. მაგრამ ლენაჩკას შინ ორი და - ნინა, ქეთო და ერთი ძმა გიგა ხვდებიან.

უფროსი ძმა - ზურიკო უკვე დაღუპულია. პატარა ლენა ბავშვობიდან სცენაზეა, ბალეტითაა გატაცებული.

**ზურა:** კოტე მახარაძე და დედაჩემი „შიელკუნჩიკი“ ცეკვავდნენ სოლოს, ერთერთ დიდ პარტიას, მოსკოვშიც იყვნენ გასტროლებზე, ლენა დიდ თეატრშია ნაცეკვი, ბებიჩემი ყოფილა მეცხრე ცაზე - „ნაშა ლენაჩკა ტანცუეტ ვ ბალმომ ტეატრე“. ყველას ჰგონია, რომ ლენა ბალერინა გახდება, მაგრამ ის ბავშვობასთან ერთად ემშვიდობება ბალეტს და მსახიობი ხდება. 1948 წელს თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებს და მარჯანიშვილის თეატრში იწყებს მოღვაწეობას. აღიარებას მალევე იხვეჭს, „ხარატანთ კერაში“ მისი განსახიერებული ნუსკია ქართული თეატრის ისტორიაში ინაღლებს ადგილს.

სცენაზე იმარჯვებს, ცხოვრებაში მარცხდება - პირველი ქორწინება დაშორებით სრულდება.

**ზურა:** დედას პირველი მეუღლე იყო ეროსი მანჯგალაძე, სტუდენტობისას ძალიან უყვარდათ

ერთმანეთი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაქორწინდნენ, მაგრამ ვერ აქწყო მათი ურთიერთობა, დაშორდნენ, ეროსის ცოლი აღარც მოუყვანია. ის კი არა, მახსოვს, ეროსის დამ დაწერა გაზეთში, სიცოცხლის ბოლომდე ლენა უყვარდა ეროსისო.

მალე სრულიად ახალგაზრდა, 27 წლის ლენა ცხოვრებაში მთავარი როლის თამაშს იწყებს - დედა ხდება. შვილს უმამოდ აჩენს, ბიჭს ზურას არქმევენ, უდროოდ დაღუპული ბიძის სახელს. პატარა ზურას გვარს და მამის სახელს ბაბუა აძლევს. ამ თამამი (იმ დროისათვის მითუმეტეს) ნაბიჯის გადადგმას ლენას ოჯახში არ უშლიან.

**ზურა:** ბავშვის მოშორებაზე მგონი არც ყოფილა საუბარი, არ ვიცი, შეიძლება მე არ მეუბნებიან, მაგრამ მე ეს არასოდეს მიგვრძნია მათგან. პირიქით ბაბუის სახელი მიწერია მამის სახელად. საერთოდ, ისეთი ოჯახი იყო, არა მგონია ბავშვის მოშორებაზე ყოფილიყო ლაპარაკი.

დაიბადა ზურა და მასთან ერთად დაიბადა მითიც, რომ ზურა ეროსის ბიჭია. ამ მითის თვითონ ზურასაც სჯერა კარგა ხანს. უფრო სწორად, არ იცის ვინაა მამა, მართლა ეროსი? თუ სხვა? იზრდება ქალების - დედის, ბებიის, დეიდების გარემოცვაში.

ბიძას, გიგა ყიფშიძეს, პოლიტიკურზე იჭერენ და აციმბირებენ.

**ზურა:** გიგა 24 წლის ასაკში უკვე სევასტოპოლის მთავარი არქიტექტორი იყო. რუსტორანში, მთვრალმა დანით ხრუშჩოვის სურათი დახია, ისევე ქართველებმა „ჩაუშვეს“ და გაუშვეს ციმბირში, სადაც ჭაბუა ამირეჯიბი იჯდა. მოსკოვში ოლიმპიადა იყო, ლენა თამაშობდა იქ და ხრუშჩოვის ბანკეტზე დაპატიჟეს, ხრუშჩოვის ხელმოწერილი მოსაწვევით კი ლენა ძმასთან წავიდა კოლონიაში, კოლონიის უფროსი გაგიჟდა - გრიშკა ხრუშჩოვის სურათის დახვეის გამო ზის და იმის დას ხრუშჩოვი საქეიფოდ პატიჟებსო?! ზურიკო კი იზრდება. ლენამ არ იცის, რომ ქართველები მის ბიჭსაც „ჩაუშვებენ“ მომავალში, „ჩაშვება“ ჯერ აღრეა, ზურიკო ჯერ უნდა გაიზარდოს, მოსკოვში წავიდეს სასწავლებლად.

**ზურა:** დედაჩემს გაუთავებლად სპექტაკლები, რეპეტიციები, გასტროლები ჰქონდა. პირადი ცხოვრება - არეულ-დარეული, ძირითადად დეიდები მივლიდნენ, ასე მეუბნებოდნენ - სამი დედა გყავსო. ისინიც მუშაობდნენ, ერთი უნივერსიტეტში ფიზიკას ასწავლიდა, მეორე ინგლისურს სკოლაში. მეტწილად ბებიასთან ვიყავი და სკოლაში რომ წავიდი, ქართული არ ვიცოდი საერთოდ, ბებია ნახევრად პოლონელი, ნახევრად „კაზაჩკა“ რუსი იყო. ყველაზე ნაკლებად დედაჩემს მიუძღოდა ჩემს გაზრდაში წვლილი, მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად დედა მიყვარდა. ეს აღიზიანებდათ „ზოგ-ზოგიერთებს“, იყო ერთი

ექვიანობა.

ბიჭს უყვარს დედა სიგიჟემდე, ყველაფერი თითქოს კარგადაა, მაგრამ განიცდის უმამობას, ნაცნობ-უცნობების აღმაცერ მზერას და დამოკიდებულებას. პატარა ხელებით იმკის დედის თამამი ნაბიჯის შედეგს. საზოგადოებას ჯერც სისხლში აქვს გამჯდარი რომ ბავშვი „ხაქსში“ ხელმოწერის შემდეგ უნდა გაჩნდეს.

**ზურა:** სასწაული პრესი იყო, ფაქტიურად ნაბიჯურად მთვლიდნენ და ასე შემდეგ... განვიცდიდი ამას ჩემებურად, მაგრამ რატომღაც შინაგანად ვიცოდი და მჯეროდა, ინტიუციით ვგრძნობდი, რომ დედაჩემი მართალი იყო თავის ცხოვრებაში, სწორად ცხოვრობდა. მე მადინიანებდა და კონფლიქტი მქონდა საზოგადოებასთან და არა დედაჩემთან. რამდენიმე წელი მის მეუღლესთან, ბონდო მაჭავარიანთან ერთად ვცხოვრობდი, რახან დედას ეს უნდოდა.

მითი ეროსის ბიჭობაზე გარდატეხის ასაკში იმსხვრევა. ბიჭი მამას პოულობს და ის სულაც არაა ეროსი მანჯგალაძე.

ზურა ყიფშიძის მამა

**ზურა:** მასხოვს სოფელში ვიყავი, ასე წარმადგინეს, გაიცანით, ესაო, ეროსის ბიჭიაო. გავვიყდი, მეთქი ვინ ეროსის ბიჭი ვარ, დავიწყე ყვირილი, ბოლო-ბოლო გამაგებინეთ ვინ ვარ, რა ვარ, ვისი შვილი ვარ... 13-14 წლის ვიყავი, როცა გავიგე ვინ იყო ბოლო-ბოლო მამაჩემი — მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ავთო ვერულეიშვილი. აღმოჩნდა, რომ ძმაც მყავს თურმე უფროსი, ისიც ზურიკო. ძალიან კარგი ხალხი აღმოჩნდა, მიმიღეს და მეც მივიღე. ჩემს ძმასთან დღემდე ვმეგობრობ, მამაჩემიც დაიღუპა და მისი გადასარევი მეუღლეც (ზურაბ ყიფშიძის ძმა - ზურა ვერულეიშვილი გასულ წელს გარდაიცვალა). ისიც ძალიან ნორმალურად შეხვდა ყველაფერს და ძალიან ახლოს ვიყავი მასთანაც, ხშირად მან ბევრად

მეტი იცოდა ჩემს შესახებ, ვიდრე ლენამ.

მამაჩემი ძაან კარგი ტიპი იყო, რაღაც უცბად გაიარა მთელმა ცხოვრებამ, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი. მამაჩემი მაინც დამნაშავედ თვლიდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემს არაფერი მოუთხოვია მისგან, არც თავიდან, არც შემდეგ. არ უთხრა, გინდა თუ არა ოჯახი დაანგრე და მე წამიყვანო. ყველაფერი შედარებით „ლაითად“ მოხდა, სხვაგან მოყვებოდა რაღაც საშინელება. დედაჩემი და მამაჩემი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ, ჩემი გულისთვისაც და საერთოდაც. ერთ თეატრში თამაშობდნენ. იყო კურიოზებიც. მასხოვს მამას ხშირად ავიწყდებოდა ტექსტი. დედა თამაშობდა კინტოს. ერთ-ერთ სცენაში ლენა ცეკვავდა, ავთო უნდა შემოსულიყო და ეკითხა „საით მიდიხარ?“ ლენა კიდე მთელი მონოლოგით პასუხობდა ამ კითხვას. ერთხელაც მამაჩემს დაავიწყდა ტექსტი, და „ნნ“ იძახის. ლენა ცეკვავს, თან ხმადაბლა ეუბნება, რა „ნნ“, თქვი ბიჭო. თან ცეკვას აგრძელებს - მეორე „კრუგზე“ წავიდა. მამაჩემმა ბოლოს ჰკითხა - „სადა მუშაობ?“ სად უნდა მუშაობდეს კინტო? ლენამაც გასცა რა პასუხი - „ლიხაჩოვის ქარხანაში, შენი დედა ვატირე“.

ელენე და ავთო

მოკლედ ზურა გადასარევედ იღებს დედასაც, მამასაც და იმ „ძიასაც“, რომლის ბიჭობასაც აბრალებდნენ.

**ზურა:** ისე მოხდა, რომ ეროსი ჩემი თეატრის დირექტორიც იყო და პარტნიორიც, ძალიან ვახლობლობდით. რომ დაიღუპა, იმ საღამოსაც მასთან ვიყავი სახლში, ბიჭები ვიყავით ასულები, მიდიოდა ნარდის თამაში, სუფრა უნდა გაშლილიყო, მე ვერ დავრჩი, ლელა ფეხმძიმედ იყო, წამოვედი,



გამოველი ოთახიდან და დავარდა კაცი.

მითი იმსხვერუვა, (ყოველ შემთხვევაში ზურასთვის), მის ადგილს სინამდვილე იკავებს. თუმცა, ზურა მანამდეც და შემდეგაც თავისი სისხლსავე, ბავშური ცხოვრებით ცხოვრობს. დედას თავისი ცხოვრება აქვს — სცენაზეც და სცენის მიღმაც. დეიდები, რომლებსაც უყვართ ლენა, სადღაც მაინც ვერ ჰკუთვნებ იმას, რომ პირადი ცხოვრება არეული აქვს და უნდათ ზურა მაინც იყოს „ყველანაირად დადებითი“. ზურა კი საშინლად მოუსვენარია.

**ზურა:** ბავშვობაში ავლივ ზურაბაშვილს ბაბუაჩემი ასწავლიდა ფიზიკას, დეიდაჩემებმა, პატარა რომ ვიყავი, წამიყვანეს ავლივთან, სერიოზულად წამიყვანეს, გიჟიყო. ამაზე უარესი ვიყავი, მოუსვენარი. ამბობს ზურა და გენეტიკურ „მტკიცებულებაზე“ - შვილიშვილზე, 4 წლის ნიკუშაზე მითითებს, რომელიც ჩვენი საუბრის დროს ყირას ჭიმავს ოთახში.

ავლივ ზურაბაშვილი დეიდებს ამშვიდებს, ბავშვი უბრალოდ მოუსვენარია! ახლა დეიდები არ ისვენებენ, აღრიცხვაზე აიყვანეთო. არ ისვენებენ, უფრო სწორად წინ იხედებიან, ჩვენ ზურიკოს ჯარში რომ გაიძახებენ, რა იცი, რაში დაგვჭირდესო. ზურიკო აღრიცხვაზე აპყავთ. არადა, რა ჯარი, ბიჭი სულ 9 წლისაა. დაიმახსოვრეთ, დეიდები ამ დოკუმენტს საჭირო დროს ააფრიალებენ.

ზურას კი გული ცხენებისკენ უწევს. იპოდრომზე იწეებს სიარულს. ცხენებს უმეგობრდება და იმ რუბიკონს, რომელიც დედას ეღობება და ვერ ხვდება კინოში, პატარა ზურა ცხენით ახტება - კინოსტუდია „მაცი ხვითისთვის“ პატარა ცხენოსან ბიჭს ეძებს. ზურას კინოში იღებენ. დედას არ სწყალობს კინო. არც მანამდე და არც შემდეგ.

ეს ამბავი „მაცი ხვითამდე“ ხდება:

თეატრში „მაია წყნეთელი“ იდგმება, ელენე ყიფშიძე მაია წყნეთელს თამაშობს. „მაია წყნეთელი“ ანშლაგების რეკორდს ხსნის, სამასჯერ ნათამაშევი სპექტაკლიდან 200 ანშლაგია. ელენე ყიფშიძეს იწვევენ ერევანში. ლენა სომხურ ენაზე თამაშობს მაია წყნეთელს. წარმატება თავბრუდამხვევია, მაგრამ თეატრალურ გამარჯვებას კინოში მარცხი ენაცვლება. იღებენ „მაია წყნეთელს“, რეზო ჩხეიძე ლენას ატყუებს, რომ მაია მან უნდა თამაშოს.

**ზურა:** მანსოვს, ლენა ეუბნებოდა რეზო ჩხეიძეს, მითხარი, ნუ დამიძალავ თუ მე არ გადამიღებო. რეზო ეუბნებოდა, შენ გიღებო. ბოლოს ოპერატორმა შეაშხადა ლენა, როლზე ლეილა აბაშიძეა დამტკიცებული, უკვე ცხენზეც დადისო. ლენა მივიდა რეზოსთან, ის ისევ ეუბნებოდა შენ გიღებო. ოჯახებით ახლოს ვიყავით და ალბათ ვერ ეუბნებოდა სიმართლეს. ლენამ უთხრა, აბა ბიძო (ბიძინა ჩხეიძე

— რეზო ჩხეიძის ბიჭი) დაიფიცე, რომ მე მიღებო. რეზომ გეფიცებო და გააქანა დედაჩემმა და წყვიტა სახეში, ამ მხრივ ცოტა ისეთი კი იყო ლენა, გიჟური, ფეთქებადი ხასიათის, მაგრამ მოთმენის დიდი უნარი ჰქონდა, მაგრამ ბოლოს თუ ამოუვიდოდა...

გაურკვეველია, რა ვერ აპატიო ელენე ყიფშიძემ რეზო ჩხეიძეს, როლის სხვისთვის მიცემა, მისთვის მოტყუება თუ შვილის ტყუილად დაფიცება.

ამ ქალბატონს უცნაური ბედი დაჰყვა - ყველა ერთხმად აღიარებდა მის ნიჭს, ცეცხლოვან ტემპერამენტს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე ეპიზოდურ (მაგრამ მაინც შთამბეჭდავ) როლს, მას საერთოდ გვერდი აუარა ქართულმა კინომ. არადა, ძალიან უნდოდა კინოში გადაღება.

**ზურა:** იმდენად უნდოდა კინოში გადაღება რომ ცხვირიც კი მოიჭრა ამისთვის. მანსოვს 12-13 წლის ვიყავი და ძალიან განვიცდიდი ამას, არ ველაპარაკებოდი კარგა ხანი, მეთქი როგორ მოიჭერი ჩემი საყვარელი ცხვირი... წოპემ გაუკეთა ოპერაცია და, სხვათაშორის, თავიდან არ გაუკეთებია სტანდარტული ცხვირი, კები დაუტოვა, ისე დაუპატარავა ცხვირი. მაგრამ მერე საშინელ ავარიამი მოჰყვა, საერთოდ დაეღწა ცხვირი და მეორე ოპერაცია დასჭირდა.

გავა წლები და თავად ელენე ყიფშიძე, თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ასე გაიხსენებს საკუთარ ცხვირისა და კინოს ურთიერთობას.

„ქართული კებიანი ცხვირი მქონდა და თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროიდან მოყოლებული, სულ მთავარ როლებს მთავაზობდნენ კინოში. თან ისეთი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, შოთა მანაგაძე. გადამიღებდნენ კინოსინჯებს და მერე შეიცხადებდნენ - „უი ცხვირიო“. ასე მთავრდებოდა ჩემი ურთიერთობა კინოსთან, სულ რამდენიმე ეპიზოდური როლი ვითამაშე ფილმებში. მერე წოპემ - ჩემი ძმის ახლო მეგობარმა, მირჩია, ხომ ხედავ, ცხვირი ხელს გიშლის, მოდი, ცხვირი მოიჭერი, კინოშიც გადაგიღებენ და ისეც უფრო ლამაზი იქნები, ცხვირის გრძობით გაზრდა კი ყოველთვის შეიძლებაო. მოკლედ, გავიკეთე ოპერაცია, თეატრში ალე ომიძე და ვასო გომიაშვილი გადაირივნენ, ეს რა ჩაიღინე, რას დაამსგავსე ქართული ცხვირიო. ახლა, დამიძახეს როლზე კინოსტუდიაში, რეჟისორ გუგული მგელაძესთან. დარწმუნებული ვიყავი, იმიტომ მიმიწვიეს, ცხვირი რომ შევიკრიჭე-მეთქი. ფრთხილად შევადე ბატონი გუგულის კაბინეტის კარი, ვხედავ - არანაირი საპასუხო რეაქცია... მივხვდი, ვერ მიცნო. „გამარჯობათ, ბატონო გუგული, ელენე ვარ ყიფშიძე“, — ვეუბნები, უნდა გენახათ, როგორი მიყვირა - რა უყავი შენი ქართული ცხვირი, ქართული ცხვირი მჭირდებოდაო... ისე



გავმწარდი, გულში გვარიანად შევუკურთხე წოპეს. ამით დამთავრდა ჩემი და კინოს ურთიერთობა“

ელენე ყიფშიძეს არ გაუმართლა ბელმა კინოში და ჩაიქნია ხელი. შეეგუა ბელს.

**ზურა:** მე კარგად მახსოვს ის პერიოდი, როცა დედაჩემი საშინლად განიცდიდა, რომ ბელმა არ გაუმართლა კინოში. მაშინ აქტიურად იღებდნენ ფილმებს და ლენას გვერდს უვლიდა ეს ყველაფერი. ამას ემატებოდა ისიც, რომ ხშირად მისთვის მიუღებელი იყო კინოს სპეციფიკა, სულ მაგას ვუხსნიდი, ნუ მიიტან ასე ახლოს გულთან, კინოს სხვა სპეციფიკა აქვს, ეკრანი მგძნობიარეა, ზუსტად უნდა იცოდე რა წერტილიდან გიღებენ, ვინ არის ოპერატორი, რას აკეთებს, როგორც კი ოდნავ გადააჭარბებ, საშინლად თეატრალურად ჩანს მეთქი. მეღავებოდა, როგორ? თუ ნაღდად, გულწრფელად თამაშობ, სხვანაირად როგორ გამოჩნდებო. მერე მახსოვს, რაღაცა ნახა თავისი და საშინლად არ მოეწონა, გაგიჟდა ეს რა არისო. მეუბნებოდა, აუ, ბიჭო, მეო მეგონა რაღაცას ვაკეთებ ზუსტად, კარგად, ნამდვილად შიგნიდან ვგრძნობო და ეს რა გამოვიდაო. მეც ვუხსნიდი, აი, ლენა, ხომ გეუბნებოდი, კამერას სხვა სპეციფიკა აქვს-მეთქი. არ ესმოდა, შინაგანი პროტესტი უჩნდებოდა და ერთი პერიოდი ვერ იტანდა კინოს. ამბობდა, მე არაფერი არ მესმის და მეზიზღება ეს კინო, მაგრამ ამას იმიტომ კი არ ამბობდა, რომ



თვითონ არ იღებდნენ, თვითონ სპეციფიკა არ ესმოდა და აღიზიანებდა, გაკეთებულად თვლიდა, ხშირად ამბობდა, გულით კი არ თამაშობს, ძალიან, ძალიან შინაგანად, თავით აკეთებს როლსო.

კინოსგან გასხვავებით, ვერ ვიტყვით, რომ ელენე ყიფშიძეს თეატრში არ უმართლებს ბელი. მაგრამ ბობოქარი ტემპერამენტისა და დიდი არტისტული გაქანების არტისტს დიდად არც თეატრში ანებებდნენ როლებით, თეატრშიც აქვს პაუზები, გაუთავებლად ცდილობენ მის ლოკალიზებას მხოლოდ სახასიათო კომედიურ ამპლუაში. არ ანებებდნენ როლებით, მაგრამ როცა აძლევენ, მაშინვე ფეთქდება მისი არტისტიზმი. ლენა ყიფშიძის ნიჭთან ომში უძლურნი არიან და მის წინააღმდეგ ხშირად იყენებენ მის პირად ცხოვრებას.

კინოს მსგავსად, მას არც პირად ცხოვრებაში სწყალობდა ბელი და იქაც შეეგუა განგებას, საბოლოოდ მარტოსულის ცხოვრება არჩია. ეროსი მანჯგალაძის შემდეგ, მხატვარ რეზიკო თარხანმოურავის ცოლი იყო, შემდეგ ჯონდო მაჭავარიანის.

**ზურა:** სულ მეუბნებოდა, მე არასოდეს მიღალატია არავისთვის და ტყუილს ვერ ვიტანო. ვერ პატიობდა ბევრ რამეს, ვეუბნებოდი, რომ პატიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამეა მეთქი, მაგრამ არ მეთანხმებოდა, არის რაღაცეები, რასაც ვერ ვპატიობ ადამიანსო. ეტყობა მაქსიმუმს ითხოვდა თავისი პარტნიორისგან, შეეყვარებულისგან, ახლო ადამიანისგან, ქმრისგან, რაც გინდათ ის დაარქვით, ეტყობა ის ვერ აძლევდა და ეს ვერ პატიობდა. ბოლოს 7-8 წელი ცხოვრობდა ჯონდო მაჭავარიანთან. მათთან ერთად მეც ვცხოვრობდი, გადავლახე და გადავიტანე მთელი ეს უბედურება, ჩხუბებიც გექონდა... ძნელია პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი, თან საკუთარი დედის, ახლა მისმენს, ალბათ, საიდანღაც და ალბათ მიწყრება, იმიტომ, რომ არ უყვარდა ყველაფრის თქმა... ბოლოს, სანამ მე ინსტიტუტში ჩავაბარებდი, დაშორდა ჯონდოს და გადაწყვიტა რომ მარტოსული ყოფილიყო. გადაწყვიტა, არ გამოვივინა მე პირადი ცხოვრებაო და მარტო ცხოვრობდა.

მისი პირადი ცხოვრება კი ისევ აღელვებს თბილისს. ისევ დაფრინავს ჭორები მასზე.

**ზურა:** დედა ჭორებზე ბრანდებოდა, მაგრამ ეტყობა, ამაზე ცოტა ზემოთ იდგა და ეშვებოდა, პერიოდები იყო, როცა მეც და ლენაც განვიცდიდით საშინელ პრესს, ყველა მხრიდან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან ბევრი ჭორები ვიცით ქართველებმა.

ისევ ზურას ბავშვობა - ქუჩა, ჰიპობა, მანეკნობა.

ბობოქარი დედის შვილის ცხოვრებაც ბობოქარია. საესეა სხვადასხვა პერიოდებით. ქუჩის ბიჭობას -

ჰიპობა ენაცვლება, ჰიპობას - მანეკნობა.

ზურას ძიების პროცესი ექსტრავაგანტულ სახეს იღებს. ნერვიულობენ დედებიც, ნერვიულობს ლენაც. არც გაემტყუენება, მას ესმის რა არის ქეიფი, იცის რომ ბიჭმა შეიძლება ქუჩაშიც იჩხუბოს და რესტორანშიც, იცის სხვებისგან და იცის ზურას გადამკვიდრება. მაგრამ უცებ თვითონ ზურა იცვლება, ლენა იბნევა, ვერ ხვდება საით „უბერავს“ ზურა.

ზურა: მე და თემურ ჩიხლაძე ნამდვილი ჰიპები ვიყავით. ახლა ძალიან ნამდვილი როგორ ვიქნებოდით, მაგრამ ვცდილობდით რომ გარეგნულადაც და შინაგანადაც ასე გვეცხოვრა. რაღაცა სიმყუდროვისა და თავისუფლებისთვის მიგვეღწია. ლენა საშინლად მტკივნეულად ხვდებოდა ამ ამბავს. დაიბნა, ქუჩის ბიჭი ვიყავი და უცებ შევიცვალე - მოშვებული თმები, მეორე ლოყის მიშვერა, რაღაც ბეჭდები, საყურე არა, მაგრამ რაღაც ჯინჯილები, გაცვეთილი ჯინსები, ჩუმი ლაპარაკი, სულ სხვა მუსიკა... ქალი გადაირია, რაღაც საშინელებაშია ჩემი შვილი, რაღაც სექტანტი ხდება... ლენას ბრალი იყო, მილიციაში რომ მოვხვდით. ლენამ, ჩემმა „ტიოტკებმა“, ბიძაჩემმა, მოილაპარაკეს, რომ მოდით რაღაც გავაგებინოთ სახელმწიფოს მოხელეებს და სამართალდამცავებსო. მოგვადგა „ვარონკა“, ყველა გაიქცა და მე და თემურ ჩიხლაძე შევრჩით ხელში. თემურამ იქ ისეთები მოარტყა, ესაო, ისაო, პროტესტო, მილიციის უფროსი გაგიჟდა. რის წინააღმდეგ გამოდიხართო, - გვკითხა. თემურმა უთხრა, ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამშიო. რაღაც სისულელეები მოთხარა, დაახეთქა, პირველ მაისს ტრანსპარანტებით ვაპირებდით გამოსვლასო. არადა, რა ტრანსპარანტები, რის ტრანსპარანტები, მილიციის უფროსი მთლად გადაირია, თქვენ ვიღაც გმართავთ ზემოდან, ანტისაბჭოთა ელემენტო. მილიციიდან ისევ ლენამ გამოგვიყვანა, მე მივხედავო. მილიციის უფროსმა გამოგვიშვა და ლენას თემურზე აფრთხილებდა, ამას არ გააკაროთ თქვენი შვილიო.

მალე ჩაჯაჯული ჰიპი ზურა ხელს აიღებს ჰიპობაზე და პოდიუმზე გამოდის. ალი-კვალი ლენას ბიჭია, უყვარს თამამი ნაბიჯები და აკეთებს იმას, რაც უნდა. უნდა ჰიპია და უნდა მანეკნი. მთელ საბჭოეთში თუ არა, ზურა ყიფშიძე პირველი მოდელი მამაკაცია საქართველოში.

**ზურა:** მაშინ არ იყო მიღებული, რომ კაცი გამოვიდეს და ქალებთან ერთად აჩვენოს მოდა. სურათებია შემორჩენილი ძალიან სასაცილო, სად არის ვერ ვპოულობ, პოზებში რომ ვდგევარ. სკოლის მოსწავლე ვიყავი მანეკნობა რომ დავიწყე. დამიძახეს მოდელის ჩვენებაზე და მეც დავდიოდი ვილნიუსში, მინსკში, კიევში, მოსკოვში, რა ვიცი, სად აღარ, აზრზე ხარ, მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდიოდნენ იმ ჩვენებებზე ლამაზი ქალები, მანეკნშიცები, ეს რა

კარგი იყო იცი? მერე, ტრამვის გამო ჩამოვშორდი პოდიუმს, მაგრამ ინსტიტუტი რომ დავამთავრე ისევ მივუბრუნდი. უკვე ცოლიც მყავდა, შვილიც. მე, ჩემი ცოლი, ქეთი ქობულაია, ნანა კობერიძე დავდიოდით მოდელის სახლში გიზო ბერაძესთან. მოდელები კეთებოდა საფრანგეთისთვის, თურქეთისთვის, ავსტრიისთვის, მართალია მანდ არსად არ წამიყვანეს, მაგრამ მოსკოვში ძალიან ბევრს ვმუშაობდი, ნატურის ხე უკრავდა და ჩვენ ვაჩვენებდით მოდელებს, ასე რომ ჩემს მანეკნურ „კარიერაში“ ორი პერიოდი იყო, ერთი ბავშვობაში, მერე დილობაში.

ზურას მოუსვენრობის ბრალი იქნება ის ტრამვაც, რომლის გამოც პოდიუმს ჩამოვშორდებოდა და საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება სიარულიც.

**ზურა:** ჩხუბში მოყვები, ფანჯარაში მომიხვდა ფეხი და გადამეჭრა აქილევსის მყესი. ედშიერ მაღალაშვილმა გადამარჩინა, გამაქანა პოლიკლინიკაში, სადაც მთვრალი მორიგე დაგვხვდა, კინაღამ მოკლა ედიშერმა, მერე გამაქანა ტრამვატიოლოგიურში და იქ ბედად დამხვდა ახალგაზრდა ექიმი ბიჭი, რომელსაც ნამუშევარი ჰქონდა აქილევსის მყესზე. იმან გადამარჩინა, თორემ სერიოზულად იყო საქმე, წელიწადნახევარი სახლში ვიყავი, ჩირქი მდიოდა, ჭრილობის გარშემო ტროფიული წყლული მქონდა, ყავარჯნებით დავდიოდი, საერთოდ ეგონათ, რომ მოსაჭრელი გამიხდებოდა ფეხი, მაგრამ იმ ბიჭმა გადამარჩინა. სხვათაშორის, ის ბიჭი მერე მოსკოვში ვნახე, თვითონ მიცნო, მიღიმოდა, გამიკვირდა, რა იყო-მეთქი. თქვენს ფეხზე დისერტაცია მაქვს დაცულიო.

ზურაც გადარჩა და მისი ფეხიც. ზურამ ამ ფეხით შეაბიჯა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტშიც და კინოშიც. სწალობს დოდო ალექსიძესთან, პარალელურად პირველ კომკავშირელის როლს თამაშობს შოთა მანაგაძის „წუთისოფელში“, აცდენს ლექციებს, ისედაც მოუსვენარი ვინმეა ისევ. ამას ემატება ის რომ ლენას ბიჭია. არტისტების შვილებს თეატრალურ ინსტიტუტში კარტბლანში ჰქონდათ და აქვთ, ზურასთვის ყველაფერი პირიქითაა, მტრობენ დედამისთან ერთად. თეატრალურ ინსტიტუტის რექტორი დედა-შვილს იბარებს.

**ზურა:** ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი პირიქით იყო, თვითონ ლენას ფაქტორი აღიზიანებდათ, თვლიდნენ რომ ლენას უნდოდა, რომ მსახიობი გამოვსულიყავი, ამ დროს არავის არაფერი უნდოდა, მე მინდოდა, ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა, თავისთავად. თავაძე იყო მაშინ რექტორი, კაგებეს პოლკოვნიკი, გვეჩხუბა, შეურაცხყოფაც კი მიაყენა ლენას, რას აკეთებს კაცმა არ იცის, დანებოს თავი ინსტიტუტს, წაგიყვანოს სოფელში და თოხი გარაკუნებინოს და დაგადგეს თავზეო, მახსოვს

ცრემლები წამსკდა და სამელნე თუ რაღაც ვესროლე. გამომაგდეს ინსტიტუტიდან. არ ვიცი, ჩემი ბრალიც იყო, მოუსვენარი ვიყავი, ვაცდენდი ლექციებს, არც ვიცოდი რა არის ეს საქმე. მეორე წელს ისევ თავიდან ჩავბარე თეატრალურ ინსტიტუტში, მოვხვდი მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში და კარდინალურად შევიცვალე. მივხვდი, რომ თეატრალურში სწავლა არც ღიპლომის აღება იყო, და არც უბრალოდ კინოში გადაღება, გაიხედე მარცხნივ, გაიხედე მარჯვნივ... გარდატეხა მოხდა ჩემში, მივხვდი რომ ეს მთელი მეცნიერება იყო. რომ არა ისევ კინო, „როცა აყვავდა ნუში“ გადაღებები, ისევ გაცდენები და კონფლიქტები, ალბათ არც წავიდოდი მოსკოვში, მიხეილ ივანიჩთან ძალიან კარგად ვიყავი. რექტორატმა ზურა მეორედაც გამოაგდო ინსტიტუტიდან, სამაგიეროდ ლანა ლოლობერიძემ გადაიღო ფილმში „როცა აყვავდა ნუში“.

დედა, რომელსაც გზა გადაუკეტეს კინოში, ვერ ეუბნება შვილს - კინო არ გინდა, ლექციებზე იარეო. მეტიც, სადღაც გულის სიღრმეში უხარია კიდევ, რომ მისი ბიჭისთვის მაინც არის ღია კინოს კარი. მერე რა, რომ მეორედ გამოახურინეს თეატრალური ინსტიტუტის კარი. დედა გრძნობს - შვილს წინ დიდება და პოპულარობა ელის. გრძნობს შვილიც.

**ზურა:** მეორედაც რომ გამომაგდეს თეატრალურიდან, ნუგზარ ბაგრატიონმა მითხრა, კინოს გულისთვის გაგრიცხეს და ბარემ მოსკოვში კინოს ინსტიტუტში ჩააბარე, გერასიმოვს აჰყავს ჯგუფიო. მართლაც, წავედი მოსკოვში, „გიკში“ ჩასაბარებლად. ჩემს მოსკოვურ საგამოცდო ციებ-ციხელებზე, ჩემმა ძმაცამა შოთიკო მშვენიერაძემ დაწერა პოემა „ზურალენასტყაოსანი“.



(31) ნოემბერი-დეკემბერი 2010

ზურას ძმაცამის პოემაში გართმულად, იუმორითაა აღწერილი გამოცდებისა და გამოცდებშია ქეიფების ამბებიც და პროზაული ფინალიც — ისტორიის გამოცდაში ჩაჭრა. ზურა ბოლო გამოცდაზე - ისტორიის გამოცდაზე ფლავდება.

**ზურა:** ბოლო გამოცდაში ჩავიჭერით ოთხი კაცი. მარჯანიშვილის თეატრს გასტროლები ჰქონდა ლენინგრადში, ავღეჩი და გავყვეი დედაჩემს. მე, ირაკლი ტრიპოლსკი, გაილაფერაძე, ივიკო მახარაძე დაქვრივართ, არის ერთი ამბავი. უცებ, ლენინგრადში, ვერიკო ანჯაფარიძეს დაურეკა თამარა მაკაროვამ, აუხსნა მდგომარეობა, 4 კაციო, რომელიც მოგვწონდა, უცბად ჩაჭრესო, ჯგუფს ვერ ვკრავთ, ერთ-ერთი ჩაჭრილი ქართველი ბიჭია გვარად ყიფშიძე, დედა მსახიობი ჰყავსო. ვერიკომ უთხრა, კი, ლენას ბიჭია, აქ არის ჩვენთან ლენინგრადშიო. მაკაროვამ სთხოვა, შენი ჭირიმე, გადაეცი, ჩამოვიდეს 1 სექტემბერს, „კარტოშკაზე“ უნდა წავიდესო. მოკლედ, ოთხივეს რაღაც პერიოდი მოგვცეს გამოცდის ჩასაბარებლად, რაღაცეები ძალათ წაგვაკითხეს და ჩავგაბარებინეს, მანამდე კი პოდმოსკოვიეში კარტოშკაზე გვამუშავეს ერთი თვე.

ზურა გიკის სტუდენტი ხდება, თბილისურ ორიანებს მოსკოვური ხუთიანები ცვლის, ლენა, რომელსაც შვილთან ერთად სათოხარში წასვლას ურჩევდნენ ამაყადაა - მისი ზურიკო წარმატებული, გერასიმოვის საყვარელი სტუდენტია. თბილისურ თეატრალურ ელიტაში კი ქირქილებენ, რომ ლენას თავჟარიან ბიჭს ძალე იქიდანაც გამოაგდებენ. ზურას კი არა არავინ არ აგდებს, პირიქით, გერასიმოვი თავის ფილმში იღებს, წარმატებით გადადის მეორე კურსზე. თბილისში კი ბოდმისგან სკდებიან და სამარცხვინო იერიშზე გადადიან.

**ზურა:** მაშინ რაღაც კონფლიქტი მოუვიდა აქ დედაჩემს, არ ვიცი, არ ჩავაცოდდი რა და როგორ იყო, მაგრამ ვიცი რომ რაღაც კონფლიქტი იყო, გაღიზიანებულებმა გადაწყვიტეს ჩვენი გამწარება და თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რექტორატმა მოსკოვში ქაღალდი გამოაგზავნა, რატომ სწავლობს თქვენთან, ჩვენ ორჯერ გამოვაგდეთ, რატომ არ არის ჯარშიო. კომისარიატში დამიბარეს, აზრზე არ ვიყავი რა ხდებოდა, იქ ვნახე თბილისიდან გამოგზავნილი წერილი, თავზე ეწერა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. რა აღარ ეწერა იქ, რომ ვარ საშინელი, ასეთი და ასეთი კაცი, ჩვენ 2-ჯერ გაგრიცხეთ, წესით უნდა იყოს ჯარში და რატომ არ არის ჯარში. წამართვეს პასპორტი, ჯარში მიპირებდნენ წაყვანას. გერასიმოვი დამეხმარა, ფილმის გადაღებების გამო 6 თვით გამათავისუფლა. მერე საგაიჟეთშიც მომიწია წოლა, ჯარში რომ არ წავეყვანე. დეიდები მყავდნენ მხეცები, არქივიდან



ელენე ყიფშიძე და ავთო ვერუღეიშვილი

ამოწიეს გაყვითლებული საქმე, ბავშვობაში ავლიპ ზურაბიშვილთან რომელიმე იტალიელი მსახურისგან მოსკოვში და იქ გამოკვლევაზე დამაწვინეს საგიჟეთში. ერთი ის მოვახერხე, დედაჩემს და „ტიოტკებს“ რომ არ ენერვიულათ, მოვატყუე, საგიჟეთში სექტემბერში მანქანა-მეთქი და ზაფხულში დავეწეი. მათ რომ გაიგეს, უკვე მიშვებდნენ. ჩამოქანდნენ საგიჟებულები. საერთოდ სამივე გადმოყვინდნენ თან, მახსოვს ერთხელ დედაჩემი იყო ჩამოსული, გამოვაცვილე, ჩამოვიდა თბილისში და მეორე დღით უკან დამადგა, ცუდი სიზმარი ვნახეო, მე 40 მქონდა სიცხე...

დღეა კი იყო, მაგრამ უფრო დაქალი იყო, ყველაფერი ჩემი იცოდა, მე მაგისი ვიცოდი. დიპლომზე რომ ვმუშაობდი, დედაჩემმა ქეთომ უხელფასო შვებულება აიღო და ჩემთან ჩამოვიდა რომ მოევლო, ახლა მე ყოველთვის მივიღიდნენ იქ, მაგრამ დედაჩემმა ასე გადალო ყველაფერი და ჩამოვიდა... მოკლედ, გადამყვინდნენ დეიდები, შეეწირნენ ჩემს გადარეულ ახალგაზრდობას. ახლა არიან მოფანტალებულები, სახლიდან ვერ გამოდიან, ვაკითხავ ხოლმე, საგიჟებულები არიან, ყველაზე უმცროსი და პირველი რომ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ქართული თეატრალური ელიტის ამ ნაწილს მხოლოდ ზურას მოსკოვური წარმატებები არ აცოფებთ. წარმატებაა თბილისშიც, ზურა თბილისში არაა, მაგრამ თბილისშია მისი ეკრანული გმირი. ეკრანებზე გამოდის და ფურორს ახდენს ლანა ლოლობერიძის ფილმი „როცა აყვავდა ნუში“, ზურა ყიფშიძე უკვე მასიურად იბუდებს ქართველი გოგოშკების სიზმრებსა და ოცნებებში, ყველაზე პოპულარული ბიჭი ხდება საქართველოში.

**ზურა:** იმ 50-60 ფილმიდან, რომელშიც გადამიღეს, ყურადსაღები და საინტერესო შეიძლება იყოს სადღაც ათი ფილმი, მაგრამ აქ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „როცა აყვავდა ნუში“ აღმოჩნდა. ალბათ იმიტომ, რომ პირველი

ფილმი იყო, რომელიც ახალგაზრდობის მტკივნეულ პრობლემას ეხებოდა. ამ დროს ნერვებს მიშლის ის გაპრანჭული გატყლარჭული ბიჭი, ბაკენბარდებით. ახლანანს ვუყურე და გამაღიზიანა, სულ ვფიქრობდი, მეთქი, ერთ მართალ სიტყვას იტყვი? თავის დროზე მე თვითონ ვერ ვიტანდი ეგეთ ტიპებს. ვინც არ მიცნობდა, შეიძლება ეფიქრა, ზუსტად ზურაზეა ეს ფილმიო, ამ დროს არ იყო ასე. სხვათაშორის, გოგა ფიფია გაცილებით თავქარიანი იყო, ვიდრე მე.

მანქანის ტარებაც არ ვიცოდი მაშინ, იყო დუბლიორები და ერთი ამბავი.

ფილმში გოგა ფიფიას გმირმა არ იცის მანქანის ტარება, ცხოვრებაში ზურა ყიფშიძემ. ზურა ტარებას მოგვიანებით სწავლობს ძმაკაცების მანქანაზე, მაგრამ ცოლის მარადიულ დაცინვას მაინც ინალდებს.

**ზურა:** ლელა ღვინდელი დამცინის, ჩვენ რომ ვიპარებოდით, მამამისის მანქანით ვიყავით, მაგარი მანქანა ჰყავდა, „ნოლტრი“ გადაკეთებული, მაგარი მატორი ჰქონდა. საჭესთან მე ვიჯექი, მაგრამ ერთგან ყინული იყო და ვერ ავედი, ლელამ მითხრა, დამსვიო, მე ვიცეო ამ მანქანის ამბებიო, იმან წამიყვანა, რა.

გამოვიდა რომ იმან მომიპარა.

ზურა, ბოლო-ბოლო, იპყრობს საჭეს, ლენასთვის კი მანქანით სიარული ისეთივე ეპიზოდური ხდება, როგორც კინოში გაელვება. თუმცა კინოში გადაღების სურვილისგან განსხვავებით, ლენას გვიან უჩნდება მანქანის მართვის სურვილი. დაღის კიდევ მასწავლებელთან, შინაც ბევრს „ვარჯიშობს“.

მოგვიანებით ზურა „გაუბაზრებს“ როგორ ვარჯიშობდა სახლში ლენა - როგორ აწვებოდა წარმოსახვაში გაზს, „ტორმუხს“, როგორ თიშავდა „ცეპლენის“, როგორ ქოქავდა და როგორ ახმოვანებდა ამ ყველაფერს.

ლენა აიღებს მართვის მოწმობას, საჭესთან დაჯდომას მაინც ვერ გაბედავს.

ლენა ვერც ზურასთან თამაშს ბედავს - „ვაიმე, რას ამბობთ, მე ხომ ზურასთან თამაშის შემეშინდება?“ ამას იტყვის ცოტა მოგვიანებით, როცა ზურა მხოლოდ პოპულარული კი არა, აღიარებული არტისტი იქნება. მანამდე კი, მოსკოვიდან დაბრუნებული ზურიკო იმედებს გაუცრუებს მშობლებს და მარჯანიშვილის თეატრს, მიხაილ ივანიჩის ახლადგახსნილ თეატრს ამჯობინებს. მშობლებს ჰკონიათ, რომ ზურიკომ აღიარებულ დიდ თეატრში უნდა იმუშაოს, მაგრამ მალე დარწმუნდებიან, რომ აღიარებულ თეატრში მუშაობას დიდ რეჟისორთან მუშაობა სჯობს. დედა-შვილი მერეც ხშირად იკამათებენ ამ თემაზეც, რეჟისორების საჭიროებაზეც და როლის კეთების ხელოვნებაზეც.

**ზურა:** სულ ვკამათობდით, ელენე ამბობდა, გარედან თუ არ დავინახე გმირი, ისე როლს ვერ


გავაკეთებო, მე პირიქით მასწავლეს, ჯერ შიგნით უნდა ვიგროძო და მერე გარედან შევალამაზო. სხვადასხვა სკოლის არტიისტები ვიყავით, მაგრამ მისი ბევრი ნამუშევარი მომწონდა, როდესაც არტიისტი მოქმედებს, გავიწყდება რა სკოლაა, არც იმას აქვს მნიშვნელობა რა სახის სპექტაკლს თამაშობს. ძალიან მომწონდა როსებას „პრემიერაში“, უცბად ძალიან ისეთი იყო, მიხაილ ივანიჩმაც კი მითხრა, როგორ არ გამოიყენეს ლენაო... ის ყოველთვის ითვლებოდა ნიჭიერ ქალად, მაგრამ სერიოზულ რეპერტუარს მის გარეშე ქმნიდნენ... შეიძლება იმდენად ნიჭიერი იყო, რომ თავს არ იწუხებდნენ მისი ნიჭის მოსარჯულებლად. ერთი პერიოდი ნაფტალინის თეატრს ვეძახდი მაგათ თეატრს და ამაზე გიჟდებოდა, სულ ვეუბნებოდი, გადასარევი მსახიობები ხართ, მაგრამ რეჟისურა ისეთი მაინც არა გაქვთ მეთქი. მეუბნებოდა - არც გეჭირდება! როგორ არ გჭირდებათ, რეჟისორი ყველას სჭირდება. არადა, თვითონ სულ იხსენებდა ყუშიტაშვილს და ჩხარტიშვილს. ძალიან განიცდიდა, მიხაილ ივანიჩის სიკვდილის შემდეგ რომ პაუზა მქონდა. მიხვდა, რომ მე ვერ ვიპოვე ჩემი რეჟისორი და ვერც რეჟისორმა მიპოვა. ძალიან გაუხარდა, თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნდა, თემურ ჩხეიძესთან რომ დავიწყე მუშაობა, თავიდან დელაუდა, მერე ამაყად იყო, გამოგვიდაო. მე ბურანში ვიყავი არც ვიცოდი, რა გამომივიდა, რა არ გამომივიდა.

გიორგი მოწონა ძალიან „რომეო და ჯულიეტაში“, გახარებული იყო, რაღაცით კი გგავს, ხელით, პლასტიკით, მაგრამ რა კარგია რომ არ გბაძავსო. ვეზუმრებოდი, შვილი ან დედას დაემსგავსება, ან მამას, საბედნიეროდ მეზობლებს არ გვანან-მეთქი. მოწონდა გიორგი და სულ უნდოდა მას გამოსვლოდა,

რაც დაუშვავთ მე არ გამომივიდა. არადა, მე არაფერს არ ვნანობ, რაც გამოვიდა - გამოვიდა, რაც არ იყო გამოსასვლელი, ეტყობა არ უნდა გამოსულიყო. ლენას პლასტიკასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ჩემგან და გიორგისგან განსხვავებით - სიმღერასთანაც. მე და ჩემი შვილიც ვცდილობთ რაღაცას, სპექტაკლებში კი არა, ფილმებში მიმღერია მე თვითონ, მაგრამ ლენასნაირი სმენა და ხმა არავის არ გვაქვს, ამ მხრივ მრავალმხრივად დაჯილდოებული იყო, პლასტიკის მხრივაც მუსიკალურობის მხრივაც.

წლები მიდის, ლენა მარტო ცხოვრებას არჩევს, უფრო სწორად საინტერესო ფორმულას პოულობს - ყველა ერთად და ცალცალკე უნდოდა, ერთ სადარბაზოში, ერთ სართულზე, ცალ-ცალკე ბინებში ეცხოვრათ. ოროთახიანში - ზურას თავის ცოლ-შვილთან, ერთ ერთოთახიანში თვითონ, მეორეში - დებს. მოკლედ, ლენა დიდი ბინის „დახურდავებას“ აპირებს. ამ თხოვნით შევარდნაძესთან მიდის.

**ზურა:** არასოდეს არავისთვის არაფერი უთხოვია, შევარდნაძე ეუბნებოდა, სამი ოჯახი ხართ და სამ ბინას მოგცემთო, ლენა ეუბნებოდა - არ მინდა, ჩემი დიდი ბინა დამიხურდავეთო. შევარდნაძე ვერ მიხვდა რა უნდოდა ლენას, რა დახურდავებაზე ელაპარაკებოდა, ისევ უმეორებდა სამ დიდ ბინას მოგცემთო. ლენა ისევ თავისას „აწვებოდა“ - არ მინდა! რაც არ მეკუთვნის, არ მინდა, ჩემი დიდი ბინა დამიხურდავეთო. გაგიჟდა შევარდნაძე, რომელი მაკლერი ის იყო... მაინც დახურდავებინა და საბურთალოზე „მანხაისთან“ ერთ სართულზე მოგვცეს ბინები. თავიდან ერთად ვიყავით, მერე გავიქეც- გამოვიქეცი, დეიდები საირმეზე გადავიდნენ, მეც დიდ დილომში გადავცვალე



ის ბინა, ფული მჭირდებოდა გიორგი რომ კვიპროსზე გამეშვა და დარჩა დელაჩემი მარტო, ამაშიც არ ჰქონდა, რა ბედი... სულ მაგას მეუბნებოდა, თქვენ თუ მაგას აპირებდით, მე სხვა ადგილას ავიღებდი ბინასო. საშინლად არ უყვარდა ის ადგილი, სულ მკვლევლობები და ქურდობები ხდებოდა, ორჯერ ლენაც გაქურდეს, ინდირა განდის ნაჩუქარი სამკაული მოპარეს. ძალიან უყვარდით ყველა, მაგრამ მარტო ცხოვრება ერჩია, სულ მაგას ამბობდა, მე მარტოსული ვარ, ასე მიჩვევია, შორიდან დაგეხმარებითო.

ასეც იყო, გვეხმარებოდა, მოდიოდა, მიდიოდა, ახალ წელს ჩვენთან ხვდებოდა.

სადაც მართალიც იყო, ახალგაზრდები მარტო, დამოუკიდებლად უნდა ცხოვრობდნენ. საერთოდ, ლენამ დიდი როლი ითამაშა ჩემს პიროვნულად ჩამოყალიბებაში. ხანშიშესული ლენა მარტო ცხოვრობს... ჩავლილია ახალგაზრდობა, როცა ის ძველ ვოდვეილებში თამაშობდა, ახალგაზრდობა აღარ ბრუნდება, მაგრამ ბრუნდება ვოდვეილები, რეჟისორი გოგი თოდაძე „ისევ ვოდვეილებს“ დგამს და ლენას, არც მეტი, არც ნაკლები კაცის - კარაპეტა დამბალოვის როლს აძლევს.

ლენა გრძობს ცხვირის იგრძელებს, ხმას იბოხებს და სომეხი ვაჭარი ხდება, სცენაზე ფურორია, ამ ფურორამდე შოკია, შოკი - სამეზობლოში.

„როცა გოგი თოდაძემ ამ როლზე დამინიშნა, მის არჩევანს თეატრში თურმე დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა - რა გაჭირვებაა, ლენამ რატომ უნდა ითამაშოს კარაპეტას როლი, თეატრში ამდენი კაციაო. მაგრამ გოგომ თავისი გაიტანა, ლენას ყველა როლის თამაში შეუძლიაო. მან ერთგვარი ექსპერიმენტი დააყენა. რომ მითხრა, კარაპეტა უნდა ითამაშო, ჩემს სიხარულს სახლგარი არ ჰქონდა. თან შედეგის შემეშინდა.

დავიწყე მუშაობა. მარტო ვცხოვრობ, ჩავიკეტებოდი სახლში და სარკესთან რეპეტიციებს გავდიოდი, კარაპეტას ბოხი ხმით ვლაპარაკობდი და სომხური აქცენტით ვმღეროდი: „ვახ, ფულებო, ფულებო, ლამაზებო, კარგებო“ თურმე, ერთი ჩემი მეზობელი ქალი ჩასაფრებულია და აინტერესებს, ერთი სული აქვს ნახოს, ვინ დადის ყოველდღე ჩემთან. ჩემი საყვარელი ჰგონია. ერთხელაც მორიგ რეპეტიციას გავდივარ, ემხში შევედი და უცებ, მისი აივნის კარის ჭრიალი გავიგონე. ვეღარ მოვითმინე, თავი გავყავი და გავძახე, არ გადმოვარდეთ, ქალბატონო, ესეც მე ვარ, ისიც მე ვარ-მეთქი“ - ასე იხსენებდა იმ შოკს თვითონ ელენე ყიფშიძე.

**ზურა:** ჰო, ის ძაან მაზალო ქალია, თან სახლიც ისეთია, ყველაფერი ისმის, სამზარეულოში რომ დაჯდები, გაიგონებ მეცხრე სართულზე ვინ ვის ეჩხუბება. კარაპეტაზე მუშაობის დროს, ლენამ მართლა გადარია მეზობლები, ეგონათ რომ ვიღაცაა მაგასთან, თან ისეთ რაღაცეებს ლაპარაკობენ, ფული, ფული... რა ფული? ვინ არის ეს სომეხი კაცი? რა ხდება? გაგიჟდნენ.

დიდი არტისტი ასაკში შედის, მაგრამ ასაკი დიდ ვერაფერს აკლებს. ის დიდხანს „იპარავს“ ასაკს - ახალგაზრდულად გამოიყურება, ამჯერად უკვე მის მარადიულ ახალგაზრდობაზე შენდება მითები.

**ზურა:** სულ უყურებდნენ, შრამები ხომ არ აქვს, სახეს ხომ არ იჭიმავსო. არაფერს არ იჭიმავდა. სულ ეკითხებოდნენ, ლენა რას ხმარობ ეგეთს, რომ ეგეთი სახე, კანი გაქვს? არაფერს არ ისვამდა განსაკუთრებულს, არ დადიოდა არავისთან

და „მასკებს“ არ იკეთებდა. რამეს ისვამდა კი არა, წამლის ხმარება არ იცოდა და ერთხელ ისე იხმარა, კინაღამ გადაყვა. მასსოვს, რაღაც ფერიმჭამელა ამოუვიდა, წამალი მისცეს, მოისვიო, ლენამ მთელ სახეზე წაისვა და გაუხდა მუხის ქერქივით. ყველას ლენას რეცეპტები აინტერესებს, ლენას კი ერთადერთი რეცეპტი აქვს და მას ყველას უზიარებს:

„მე ბოლმიკა არა ვარ! შემიძლია გულწრფელად შევნატრო ადამიანს, ნიჭიერს - მით უმეტეს. მტერიც რომ იყოს, შემიძლია, მისი უპირატესობისა და ღირსების დანახვა და შეფასება. მაგალითად, ვერავის ვეტყვი, უი, რა ცუდად გამოიყურებიმეთქი. რატომ უნდა ვატკინო გული სხვას? ერთი რამ განსოვდეთ: როცა ვინმეს გულს სტკენტო, მისი გშურთ ან იბოლმებით, მაშინ ჩნდება ნაოჭები და ბერდები!“

**ზურა:** ვერც წარმოიდგენ, ისე უხაროდა სხვების წარმატება. აღფრთოვანებული იყო ოთარ მეღვინეთუხუცესით, რუსთავში რომ „დონ კიხოტი“ დადგეს, გაგიჟდა ისე მოსწონდა და უხაროდა, საერთოდ ოთარი უყვარდა ძალიან, რას არ ეძახდა - „გიჟი“, „გადარეული“. ჩვენთან, თეატრში ძალიან მოწონდა რუსიკო ბოლქვაძე და ნინელი ჭანკვეტაძე. ბოლოს, „ვენეციელი ვაჭარი“ ვნახეთ ერთად ვაკის სარდაფში, აღფრთოვანდა მერაბ ნინიძით. ეს მომენტი სულ ჰქონდა და ვერ იტანდა დაუნახავ ხალხს, სხვათაშორის, ეს მეც გამომეყვა მისგან, ვერც მე ვიტან დაუნახავ ხალხს.

მას არ შურს სხვების ბედნიერების, მაგრამ მისი შურთ, მას სულ ბრძოლა უწევს თავის ბედნიერებისთვის, ის იბრძვის, მაგრამ ბოლმას არ იტოვებს გულში, ახალგაზრდობას ინარჩუნებს. წლებს მაინც თავისი მიაქვს, შეიძლება ქუჩასა და ფოიეში ოდნავ წელში მოხრილსაც კი მოჰკრათ თვალი, მაგრამ ვერ ნახავთ ასეთს სცენაზე. სცენაზე ასვლისთანავე ისევ ახალგაზრდაა, წელში ისე იშლება, მაკედონელს შემურდება, ისეთი პლასტიკური ხდება, დუნკანი და პლისეცკაია რომ დაიბოლმებოდნენ.

70 წელს გადააბიჯებს და ბოროტ ანგელოზს ითამაშებს ლალი როსებას „სახლის ანგელოზებში“, ამარცხებს დროს და სცენაზე გამოჩენისთანავე აზრს კარგავს ცნება „ასაკი“.

2001 წელს მიუკაკუნებს ლამის 80-ს, კინომსახიობთა თეატრში 20 წლის გეიშის როლზე მიიწვევენ და შოკში ჩააგდებს გრძობის - ანუკა მურვანიძეს, დიდი გრძობი არც სჭირდებაო. სპექტაკლი ვერ შედგება, უფრო სწორად გადაიდება, მაგრამ თუ შედგება, შედგება ელენე ყიფშიძის გარეშე... „სახლის ანგელოზებში“ მიიღებს ერთ-ერთ იმ ტრავმას, რომელიც საბედისწერო გახდება მისთვის.

**ზურა:** ასაკში იყო, მაგრამ არ ეტყობდა, რაღაც გოგომკასავით იყო, ეს ავადმყოფობა რომ

არ შეპყროდა... იმდენი უძახეს, ვაიმე ლენა რა ახალგაზრდულად გამოიყურები, რა ახალგაზრდულად გამოიყურები... რაც დაემართა, არასწორი პროთუზის გამო დაემართა. არ მიაქცია ყურადღება, სულ გადარბენაზე იყო, სულ კონცერტებზე, სულ უკვირდით ამ ხნის ქალი ასე როგორ ცეკვავს, მღერის, დახტის იქით-აქეთ, ჰყვება სასაცილო ისტორიებს. სულ „არ მცალკა“ იძახდა, კბილის ექიმთან არ მივიდა. ენაზე იკბინა ერთხელ, ორჯერ, ათჯერ... ერთხელ „სახლის ანგელოზებში“, იატაკიდან რომ ამოდიოდა და იმსიმძიმე სარქველი მოხვდა თავში, ენაზე იკბინა, ერთ-ერთი კბენა ეგ იყო... არ აქცევდა ყურადღებას და ჩამოყალიბდა სიმსივნე. მერე, როგორც იქნა მივიდა კბილის ექიმთან, მიშა გომიაშვილის მეუღლე იყო ნანა ღლონტი, ნანა მიხვდა რომ ცუდად იყო საქმე, გავაქანეთ და დადგინდა ყველაფერი...

7 წელი ებრძოდა ამ სენს. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მკურნალობას დაექვემდებარა, გარდაცვალებამდე 4 თვით ადრე ნახა მისმა ექიმმა კოტე მარდალეიშვილმა და პირდაპირ უთხრა - სიცოცხლე გინდაო? ქალი კინაღამ მოკვდა, მიყურებს, მე გამტერებული ვიყავი. ერთი კვირა მოგვცა მოსაფიქრებლად, ოპერაცია უნდა გაგაკეთოთო, ენის ერთი მესამედი უნდა მოგჭრათო. ლენამ უარი თქვა ოპერაციაზე - მაინც ასაკში ვარ, ან თქვენ რაზე გავწალოთ, ან მე რაზე ვიწვალო, ან როგორ ვჭამო,

ან როგორ ვილაპარაკო. მეც გაგვიყლი, ენა როგორ მოუჭრა დედაჩემს მეთქი. ვერ წარმოედგინა, რომ ესეთი ტანჯვა ექნებოდა ბოლოს, თორემ შეიძლება დაგვთანხმებოდა.

ბოლო სამი თვე ვერაფერს ჭამდა, ტკივილი არ უყუჩდებოდა, სიტყვა მორფი რომ გაიგო, არ მინდაო. ბოლოს არავის უშვებდა თავისთან, მაშინ ხშირად მქონდა „შხეზე“ ჩაწერები, ვაჩერებდი ჩაწერას, მივბოდი, ნემსს ვუკეთებდი, მოვბოდი. ბოლოს, როგორც იქნა დავითანხმე ახალგაზრდა გოგონაზე, ისიც ლენაჩკა იყო. წვეთოვანიც დიდი ხვეწნით დაგუდვით. საკვებს რომ არ იღებდა, ძალიან დასუსტებული იყო, წვეთოვანმა ცოტა მოამაგრა, გაუხარდა, სიკვდილის წინ გამოიხედა და... სამინლად მწყდება გული, სულ მგონია რომ რაღაც დააკელი, რაღაც ვერ გავუკეთე. ეს ტრამვა თორემ, რამდენჯერმე რომ გასინჯეს, გაოგნებულები იყვნენ, ვერ იჯერებდნენ, რომ ამ ასაკის იყო, ახალგაზრდა ორგანიზმი ჰქონდა.

\* \* \*

თენდება. კომპიუტერს ვუკაკუნებ, მიჭირს წერტილის დასმა. მე ვწერდი ლეგენდაზე, რომელსაც განგებამაც ვერ დაუსვა წერტილი. წერტილი მხოლოდ ელენე ყიფშიძის ამ ქვეყნად ყოფნას დაესვა. ლეგენდების სასვენი ნიშანი მრავალწერტილია...

რეზო შატაკიშვილი

# წერის გარეშე სიცოცხლე მართდა არ შეიძლება!

ინტერვიუ დათო ჭურაშვიტთან

დათო ტურაშვილი ქართველ მკითხველებში დიდი სიყვარულითა და მოწონებით სარგებლობს. იგი უამრავი სცენარის, პიესის, მოთხრობისა და რომანის ავტორია. სწავლობდა ლიტერატურის, კინოსა და ხელოვნების ისტორიას თბილისის, ლონდონისა და მადრიდის უნივერსიტეტებში. მისი მოთხრობები ნათარგმნი და გამოქვეყნებულია შვიდ ენაზე. მთარგმნელობით საქმიანობას ტურაშვილი რუსული, ინგლისური და ესპანური ენებიდან თვითონაც ეწევა. მასვე ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო-კვლევითი წერილი ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. თუმცა უპირველესი მისთვის მაინც წერაა, რის გარეშე სიცოცხლაც ვერ წარმოუდგენია.



- რატომ წერა და არა ხატვა, ან ქუჩაში აქციებზე დგომა?

- მგონი ეს არჩევანი (წერას ვგულისხმობ), არც ისეთი მარტივი იყო, რომ მისი გაკეთება, მხოლოდ ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული. იმაზეც მიფიქრია (არცთუ იშვიათად), რომ თუ ოდესმე შევძლებ რომ არ ვწერო, საერთოდ არ დავწერ, მაგრამ ჯერჯერობით წერის გარეშე სიცოცხლე, მართლა არ შემიძლია.

- მწერლებს ან პოეტებს სიცოცხლეში და მითუმეტეს შემოქმედების საწყის ეტაპზე იშვიათად აღიარებენ. თქვენ თანამედროვე მკითხველის დიდი მოწონებით და სიყვარულით სარგებლობთ. როგორია ამის თქვენეული ახსნა?

- ამ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ და, ალბათ, ამ კითხვით მკითხველებს უნდა მიმართოთ.

- თქვენს ნაწერებში ხშირად „კეთილშობილი ცინიზმი“ იკითხება, აკრიტიკებთ ტრადიციებს, რომლებსაც სხვა ადგილებში ასევე პატივისცემით იხსენებთ. რომელ ტრადიციებს და ადათ-წესებს თვლით არასაჭიროდ ან გადამეტებულად და რომელს ფასეულად ჩვენი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად?

- ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ყველა ტრადიცია კარგია და შეცდომით ვიცავთ ნებისმიერ ტრადიციას. სინამდვილეში კი, პირიქით უნდა მოვიქცეთ და ნებისმიერი კი არა, არამედ ის ტრადიცია უნდა დავიცვათ, რომელიც კარგია, სასარგებლო და ფასეული ჩვენთვის. სხვათა შორის, საკუთარ თავს საკმაოდ ცუდად ვიცნობთ და შეცდომით გვგონია, რომ ჩვენ ძალიან ტრადიციული ქვეყანა ვართ. მე კი მგონია, რომ მსოფლიოში უამრავი ხალხი არსებობს, რომელიც ჩვენზე მეტად იცავს თავის წარსულსა და ტრადიციებს. სხვებს რომ თავი დაუანებოთ, იაპონია არის ზემოთქმულის ისეთი მაგალითი, რომელთანაც ახლოსაც კი ვერ მივალთ. რადგან იაპონია ვახსენე, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მე მინდა რომ საქართველომ შეძლოს ასეთი სინთეზის მიღწევა — ისე გახდეს თანამედროვე ევროპული ქვეყანა, რომ არ დაკარგოს თავის მნიშვნელოვანი და მრავალსაუკუნოვანი ღირებულებები. ხოლო რაც დასაკარგია, იმას ტყუილად ნურც გამოვეტირებით: მაგალითად, ქართველებს ჰქონდათ ასეთი ძველი ტრადიცია — ქალაქში შესვლისას კენჭი უნდა გადაეყლაპათ და ეს ტრადიცია, რომელიც ილია ჭავჭავაძესაც აქვს აღწერილი, საბედნიეროდ დავკარგეთ. წარმოიდგინეთ, რამდენი ქართველიც დიდმიდან ან კახეთის მხრიდან თბილისს მოადგება, იმდენი რომ ქვები ვყლაპოთ, ისედაც გაუბედურებული კუჭები რა დღეში გვექნება...

- თვლით, რომ ქართველ მკითხველს ისე ესმით

თქვენი ნათქვამი, როგორც გინდოდათ, რომ გაეგო? ან საერთოდ თვლით, რომ მათ ესმით თქვენი და დათო ტურაშვილის ნაწარმოებების კითხვა მოდა არაა?

- ძალიან კარგი კითხვაა, მაგრამ ძალიან რთულია პასუხის გაცემა და ძალიან დიდი დროც დამჭირდება ყველაფრის ახსნისათვის, რასაც ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ. მოკლედ კი იმას ვიტყვი, რომ მიჩვევნია საქართველოში წიგნი (არა ჩემი, არამედ საერთოდ წიგნი) იყოს მოდაში, ვიდრე ნარკოტიკი ან სხვა ბოროტება.

- თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ ინტერნეტი და ელექტრონული წიგნები, კლასიკურ წიგნებს ვერ ჩანაცვლებენ. ფაქტია, რომ კითხვის ჩვევასთან ერთად ბოლო ათწლეულში წიგნის კითხვის ინტენსივობაც შეიცვალა. მოახდენს თუ არა ეს გავლენას თქვენი აზრით სტილსა და ფორმატზე (დაიწერება უფრო ლაკონურად და ა. შ.) ქართულ (და არაქართულ) მწერლობაში და თუ კი, როგორ?

- გეთანხმებით და შესაძლოა წიგნის მოცულობა შემცირდეს, მაგრამ წიგნს, როგორც ადამიანის სულიერი და გონებრივი განვითარების მთავარ საზრდოს, ვერაფერი შეცვლის და კომპიუტერიც (ამ მხრივ) ვერასოდეს იქნება წიგნის ალტერნატივა.

- თქვენ ძალიან საინტერესო ამბები და მოყოლის მანერა გაქვთ. იქნებ რაიმე საინტერესო ან სახალისო მოგვიყვით ახალ წელთან დაკავშირებით.

- სხვათა შორის არ მიყვარს ახალი წელი და საერთოდ არ მიყვარს კოლექტიური და საერთო სახალხო დღესასწაულები. მეტიც, ყველაზე მოწყვნილი და სევდიანი სწორედ ახალ წელს ვარ ხოლმე და ახალი წლის მერე კი, თბილისის დაბომბილ ნაგასაკის ჰავას, სადაც სიცოცხლის კვალიც კი არ ჩანს ხოლმე და ადამიანებს თავები აქვთ უსაშველოდ დასიებული და კუჭები საშინლად გაღიზიანებული და ღვიძლები კი არანორმალურ ზომებამდე გადიდებული.

- როგორ იხსენებთ გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან შეხვედრას 2010 წლის 16 ოქტომბერს მიუნხენში?

- მიუნხენიდან დაბრუნების შემდეგ ყველას ვუყვები, რომ ასეთი კარგი სათვისტომო დედამიწაზე არ არსებობს და კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ის შეხვედრა მოაწყო.

- რას ეტყოდით ან ურჩევდით ჟურნალ „ქართულის“ მკითხველებს საქართველოს საზღვრებს გარეთ?

- რჩევით ვერავის ვერაფერს ვურჩევ და ყველგან მყოფ ქართველებს კი ვუსურვებ სიყვარულს, განათლებას და თავისუფლებას...

თინათინ ჩითინაშვილი



# წერილებში ჩაწეული სანჯიოს სინამდვილე ანუ წიგნი, რომელიც ახლო წარსულს შეგვასხენებს

ამ ცოტა ხნის წინ მიუნხენის საპატიო საკონსულოში საკმაოდ საყურადსაღებო წიგნის „ლამარას წერილები ანუ სოციალიზმის დაშლის შესახებ“, განხილვა გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას წიგნი ბერლინიდან სპეციალურად ჩამოსულმა თავად ავტორმა, ქალბატონმა ელგა კურცხალიამ და საქართველოს ელჩმა გერმანიაში ქალბატონ გაბრიელა ფონ ჰაბსბურგმა წარუდგინა.

მოცულობით მცირე, მაგრამ ბევრისათვის სულმოუთქმელად წასაკითხი ნაწარმოები ავტორის ბოლო ნამუშევარია. ქალბატონი ელგა პროფესიით ფსიქოლოგია. იგი არაერთი წიგნის ავტორიცაა. მისი ნაწარმოებები ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ, თუმცა მათში მძაფრად არის წარმოდგენილი კონკრეტული ადამიანის ბედი არსებულ სინამდვილეში. ავტორი 30 წლის წინ დაუკავშირდა საქართველოს, როცა იგი ქართველების რძალი გახდა. ელგასათვის, რომელიც ბერლინში დაიბადა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, რომლის წიაღიდანაც მისი მეუღლე გამოდიოდა. მაშინ საქართველო საბჭოთა სოციალისტური ქვეყანა იყო. გერმანელმა ქალმა კიდევ უფრო მძაფრად აღიქვა კომუნიზმის ავბედითობა და აგერ უკვე ამდენი წლის შემდეგ, სწორედ იმისათვის, რომ ის შემზარავი პერიოდი არავის დავიწყებოდა, რათა ახლის შენებისათვის მეტი შემართებით გვებრძოლა,

გამოსცა წიგნი საბჭოთა სინამდვილეზე.

წერილებად აწყობილი რომანი წასაკითხად საკმაოდ მსუბუქია. მისი ენა პოეტურია. მასში აღწერილი მოვლენები ავტორმა წლების მანძილზე დააგროვა საქართველოში ცხოვრების პერიოდში თუ თავად წერილების საშუალებებით. მწერალი ცდილობს ბევრი ფაქტი იუმორით შემოსოს, რადგან პრობლემა, რომელიც „ლამარას წერილების“, მთავარ გმირს, თავად ლამარას ეხება საკმაოდ გულამაჩუყებელი თავგადასავალია. ლამარა ეს-ესაა 60 წლის გახდა, იგი ინტელიგენტი ადამიანია, ჩემთვის გამიზნულად რუსთაველოლოგიც. მისი შვილი დიტო ბედისწერამ უცხო ქვეყანაში დაასახლა. იქ მან საკუთარი ოჯახი შექმნა. ლამარა, ერთადერთია ოჯახში, რომელიც წერილებს აგზავნის შვილთან. უყვება ყველაფერს, ოჯახურ პრობლემებსა თუ ქვეყნის ტკივილს. მის წერილებში იკვეთება შინაგანი ბრძოლა არსებული რეჟიმისადმი, შიში, უნდობლობა. ლამარას თვალწინ იშლება 9 აპრილის ტრაგედია, შემდეგ რეჟიმის ნგრევა და ომები, უამრავი მსხვერპლი. თავის გადარჩენისათვის ბრძოლა. ქვეყანაში ხომ კვერცხიც სანატრელია. ხელფასებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეს ტკივილი ლამარას ფურცლებზე გადმოაქვს და ცდილობს ყველამ გაიგოს სინამდვილე.

ამასობაში მსოფლიოშიც დიდი გარდატეხების დასაწყისია. 1984-95 წლები, ეს 14 წელიწადი რომელიც ავტორმა წიგნის შექმნის პერიოდად გამოიყენა არის, როგორც საბჭოთა სისტემის ნგრევის დასაწყისი, ასევე გერმანიის გაერთიანების ისტორიული მოვლენაც.

დაიხ, სოციალიზმი დაემხო, დაინგრა საბჭოთა სოციალისტური საქართველოს მომავალი. აქვე იხურება ეს დაუთარიც, ამ ავბედითი ისტორიით.

და ბოლოს, აღსანიშნავია ქალბატონი ელგა კურცხალიას ხედვა დღევანდელი საქართველოს განვითარების და წინსვლის მიმართულებით რაოდენ ოპტიმისტურია. სწორედ წიგნის გამოშვების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მისთვის ახლო წარსულის გასხენებით თანამედროვეობის შეფასება და დანახვაა.

ნინო ცხომელიძე-დეპერშიდტი



## საქართველოს ეკონომიკური ფორუმი

ამა წლის 8 და 9 დეკემბერს მიუნხენის და ზემო ბავარიის, ასევე დიუსელდორფის ინდუსტრიის და საავტომობილო პალატების (IHK für München und Oberbayern, IHK zu Düsseldorf), საქართველოში გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWVG), აღმოსავლეთდაცენტრალური ევროპის გაერთიანების (OMV), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ასოციაციის (GTZ) და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს ეკონომიკური ფორუმი მიუნხენში და დიუსელდორფში. ღონისძიებაზე ქართულ მხარეს წარმომადგენლებს საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი, საქართველოს საპატიო კონსული ბავარიაში და ბადენ-ვიურტემბერგში, მიუნხენის და ზემო ბავარიის ინდუსტრიის და საავტომობილო პალატის საპატიო პრეზიდენტი და საქართველოში გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების თავმჯდომარე კლაუს ჰიპი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ კეკელია, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საინვესტიციო პროექტების მენეჯერი გიორგი ციკოლია, „რაკია საქართველოს“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მარკეტინგის ხელმძღვანელი დამირ ბასილაია და იურიდიული კომპანია „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის“ პარტნიორი ვიქტორ ყიფიანი. გერმანული მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გერმანიის ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სამინისტროს წარმომადგენელი მარგიტ შტეფელი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ასოციაციის წარმომადგენელი იორგ ოლშლეკერი, საქართველოში გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენელი უტა ბაიერი და KfW განვითარების ბანკის წარმომადგენელი დავიდ ბეტოლაცა. ფორუმს დაესწრნენ ასევე მეტი ადგილობრივი კომპანიის წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე გერმანულ ბიზნესმენებს გააცნეს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა და ქვეყნის საინვესტიციო გარემო. თემატური პრეზენტაციები შეეხო ინვესტიციის თვალსაზრისით მიმზიდველ სექტორებს, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, მშენებლობა და უძრავი ქონება, ტურიზმი. ბ-ნმა კეკელიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკა გამოკვეთილად სტაბილურობის გზასადგას

და ქვეყანა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ყველაზე ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სიაში ირიცხება. მისი თქმით, 2010 წლისთვის ნაუარაუდევია საქართველოს ეკონომიკის თითქმის 6 პროცენტითი ზრდა, ხოლო 2011 წლისთვის – 8-დან 9 პროცენტამდე. ბ-ნმა ბასილაიამ მიმოიხილა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საქმიანობა და საინვესტიციო პოტენციალი. საქართველოში ბიზნესის დასაწყებად და საწარმოებლად აუცილებელი პროცედურების შესახებ ბ-ნმა ყიფიანმა გააცნო ინფორმაცია გერმანულ ბიზნესმენებს.



შეხვედრა მიუნხენში

ფორუმის ფარგლებში საკმაოდ დაეთმო დამსწრეთა შეკითხვებს და მსჯელობებსაც. გერმანული დამსწრეების დიდი ინტერესი საქართველოს ეკონომიკის მიმართ ნათლად გამოჩნდა ყოველი პრეზენტაციის შემდეგ მათ მიერ დასმულ შეკითხვებში. ქართული დელეგაციის წარმომადგენლებმა თავის მხრივ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს დაინტერესებულ პირებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო გარემოს მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა სექტორში.

მერაბ კუცია

# გასაჩივრობი ბეჭედი

## თუბი

ამაზონაში ვარდისფერი დელფინები ბინადრობენ.

რაოდენობრივად გალიაში მეტი თუთიყუში ბინადრობს, ვიდრე ბუნებაში.

ალასკაზე მეტი თვითმფრინავია, ვიდრე მანქანა.

საბერძნეთის ნაციონალური ჰიმნი შედგება 158 სტროფისაგან. მისი შესრულებისას კი მხოლოდ პირველი ორი სტროფი იმღერება.

სპილოები მთელი ცხოვრების მანძილზე იზრდებიან.

აქლემს შეუძლია 15 წუთში 200ლ. წყლის დალევა.

თავდაპირველად კოკა-კოლა სამედიცინო საშუალება იყო კუჭისა და თავის ტკივილის დროს.

ერთი ლიტრი ზეთუნის ზეთისათვის საჭიროა 5კგ. ზეთისხილი.

ნიუ-იორკში მეტი იტალიელი ცხოვრობს, ვიდრე რომში, მეტი ირლანდიელი, ვიდრე დუბლინში და იმაზე მეტი შავკანი ვიდრე მთელი მსოფლიოს დიდ ქალაქებში ერთად.

სიტყვა „კანადა“ ნიშნავს „დიდ სოფელს“.

ოლიმპიური ცეცხლის ტარება პირველად ბერძნებმა კი არა, ნაცისტებმა გამოიგონეს.

ინგლისის მოქალაქეებს არა აქვთ პირადობის მოწმობა.

## ბზინჯი აზრები

**კუ:** ქვეყანა გველია, წელიწადი მისი კანია, როცა კანს იცვლის, რაც ძველია, ის ახალია.

**გერმანული ანდაზა:** მოწყენილობა მათი გაჭირვებაა, ვინც არ იცის, რა არის გაჭირვება.

**დიდრო:** ბოროტი ადამიანები ბუზებს ჰგვანან, რომლებიც ადამიანის სხეულზე დადიან და მხოლოდ მის წყლულებზე შეჩერდებიან ხოლმე.

**ნარი:** პატარა ადამიანთა დიდებას ჰქვია წარმატება.

**ტოლსტოი:** ჰუმანისტს ყველა ადამიანი უყვარს, იმათი გამოკლებით, ვისთანაც მას ნაცნობობა ჰქონია.

**ფრანკლინი:** ყველა წამალზე უმჯობესია დასვენება და თავშეკავება.

**სენაკა:** როცა სხვებს ვასწავლით, ჩვენ თვითონ ვსწავლობთ.

**დანტონი:** არაფერია იმაზე ძნელი, ხელახლა აღზარდო ცუდად აღზრდილი.

**იოვენალისი:** ვერც ერთი ბოროტი ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება.

**პასკალი:** გადაქექეთ თქვენი ფიქრები და მათში ჰპოვებთ მხოლოდ წარსულს ან მომავალს. ჩვენ თითქმის არ ვფიქრობთ აწმყოზე.

# ვანს კვლავები გვიცინიან

ასეა თუ ისე, წელიწადთა გასაყარზე ადამიანებს კვლავ ჰოროსკოპებისაკენ გაურბით თვალი. რას მოგვიტანს ახალი წელი? რას გვაუწყებენ ვარსკვლავები? მართალია ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება? რას მოასწავებს მაიას ტომების კალენდრის დასასრული? ანდა პირადული კითხვები: ვიპოვი საბედოს? რამდენად გამიმართლებს სამსახურში? რომელია ჩემი ბედნიერი ციფრი და ა.შ.

და რადგან კითხვები არსებობს, ასტროლოგებიც სიამოვნებით გვიმხელენ ინფორმაციებს ილუმინაციით მოცული სამყაროდან.

ადმოსავლური კალენდრის მიხედვით 2010 წლის მბრძანებელ შმაგ ლომს 2011 წელს ჰარმონიული კატა ენაცვლება (ზოგიერთ ჰოროსკოპში მას კურდღლადაც მოიხსენიებენ), რომელიც დედამიწას 3 თებერვლიდან 2012 წლის 22 იანვრამდე განაგებს და სტაბილურ, კომპრომისულ პერიოდს უშადადებს, რომელშიც დიპლომატია და წინდახედულობა უმაღლეს განზომილებაში გადადის. მიზანი კატის საქმე არ არის. ამ წლის მთავარი პრინციპია: ყური უგდე შენს ინტუიციას!

ადმოსავლურ კალენდარს პრინციპულად ეთანხმება ვარსკვლავების განლაგებაც. 2011 წელს დედამიწა ვენერას მფარველობაში ექცევა, რომელიც თავის მხრივ სიყვარულის, სილამაზის, სიმშვიდისა და ჰარმონიის ეტალონად გვევლინება.

2011 წლის მბრძანებელი კატა ჰოროსკოპის თორმეტ ცხოველსაც სიმშვიდისა და განცხრომისაკენ მიუძღვის. იგი ყველას განსაკუთრებულ შანსებს აძლევს სამოქმედოთ.

მაგალითად:

**ვირთხა** - თვეების მანძილზე საუკეთესო შანსებს ფლობს ფინანსურ და პროფესიულ სფეროში.

**ხარი** - მასთან ჰარმონია და მშვიდობა ისადაგურებს, ფინანსურადაც ყველაფერი წესრიგშია.

**ვეფხვი** - მან მხოლოდ მცირე უნდა განილოს იმისათვის, რომ ნეტარება განიცადოს.

**კატა** - გზას თავად განსაზღვრავს, მასთან ყველაფერი საუკეთესოდ მიდის.

**დრაკონი** - თუ იგიც მზად იქნება კომპრომისებისა და დიპლომატიური სვლებისათვის, მაშინ მის წარმატებასაც გზაზე ვერაფერი ვერ დაუღებავს.

**გველი** - მასთან სიყვარული სტაბილურად იმზირება. კატა მას ასე არიგებს, გაიხსენი, არ დაიმალე და შენც მიაღწევ ოცნებებს.

**ცხენი** - მართალია, იგი ეძებს გამოწვევებს, მაგრამ ეს წელიწადი მისთვის მეტად მშვიდი იქნება, დიდი თავგადასავლების გარეშე. თუმცა, შინაგან განტვირთვას მოიპოვებს.

**თხა** - ყველაფერი კარგად იქნება? - პრინციპში კი.

**მაიმუნი** - კატა მას დიდი ხნის გვემების ასრულებას ჰპირდება.

**მამალი** - მართალია კატა და მამალი იდეალურ კომბინაციას არ ჰქმნიან, მაგრამ თუ მამალი ოპტიმისტურად განწყობა და ოუმორსაც მიმართავს ყველა სიტუაციას მოერგება.

**ძაღვი** - წელს პატარა გამარჯვებებს ზეიმობთ, მეტს მომდევნო წელიწადს ელოდეთ.

**ტახი** - კატამისთვის კარგი მრჩეველია, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში. პრობლემები წელს მას ნაკლებად შეაწუხებენ.

## ციფრების საიდუმლო

გინდათ გამოიცნოთ თქვენი ბედნიერი ციფრი 2011 წელს?

ამისათვის საჭიროა ჯერ გამოიანგარიშოთ ის ციფრი, რომელიც გახსნის ამ საიდუმლოს კარიბჭეს.

მიუმატეთ თქვენი დაბადების დღისა და თვის რიცხვები ერთმანეთს. თუ ჯამი ორნიშნა რიცხვისაგან შედგება, მაშინ ისინი კვლავ უნდა მიუმატოთ ერთმანეთს. რათა საბოლოოდ მიიღოთ რიცხვი 1-დან 9-მდე.

მაგალითად:

თქვენი დაბადების დღეა 17 აპრილი.

$$17 + 4 = 21 \text{ (ციფრი ორნიშნა)}$$

$$2 + 1 = 3$$

ე.გ. თქვენი გასაღებია 3

2011 წლის ბედნიერი რიცხვის დასადგენად კი  $4 \text{ (2011 წლის ჯამს)} + 3 \text{ (თქვენი გასაღების ციფრი)} = 7$

ე.ი. თქვენი ბედნიერი რიცხვი ყოფილა 7.

P.S. თუ ჯამი ორნიშნაა, მაშინ კვლავ დაგჭირდებათ მისი დაშლა, რათა მიიღოთ ერთნიშნა რიცხვი.

მოამზადა

ნინო ცხომელიძე-დებერშიძე

# Der Schneemann

Manfred Kyber

Es war einmal ein Schneemann, der stand mitten im tief verschneiten Walde und war ganz aus Schnee. Er hatte keine Beine und Augen aus Kohle und sonst nichts und das ist wenig. Aber dafür war er kalt, furchtbar kalt. Das sagte auch der alte griesgrämige Eiszapfen von ihm, der in der Nähe hing und noch viel kälter war.

„Sie sind kalt!“ - sagte er ganz vorwurfsvoll zum Schneemann. Der war gekränkt. „Sie sind ja auch kalt,“ antwortete er. „Ja, das ist etwas ganz anderes,“ sagte der Eiszapfen überlegen.

Der Schneemann war so beleidigt, dass er fort gegangen wäre, wenn er Beine gehabt hätte. Er hatte aber keine Beine und blieb also stehen, doch nahm er sich vor, mit dem unliebenswürdigen Eiszapfen nicht mehr zu sprechen. Der Eiszapfen hatte unterdessen was anderes entdeckt, was seinen Tadel reizte: ein Wiesel lief über den Weg und huschte mit eiligem Gruß an den beiden vorbei.

„Sie sind zu lang, viel zu lang!“ rief der Eiszapfen hinter ihm her, „wenn ich so lang wäre, wie Sie, ginge ich nicht auf die Straße!“ „Sie sind doch auch lang,“ knurrte das Wiesel verletzt und erstaunt. „Das ist etwas ganz anderes!“ sagte der Eiszapfen mit unverschämter Sicherheit und knackte dabei ordentlich vor lauter Frost. Der Schneemann war empört über diese Art, mit Leuten umzugehen, und wandte sich, soweit ihm das möglich war, vom Eiszapfen ab. Da lachte was hoch über ihm in den Zweigen einer alten schneeeverhangnen Tanne, und wie er hinauf sah, saß ein wunderschönes, weißes, weiches Schnee-Elfchen oben und schüttelte die langen hängenden Haare, dass tausend kleine Schneesternchen herab fielen und dem armen Schneemann gerade auf den Kopf. Das Schnee-Elfchen lachte noch lauter und lustiger, dem Schneemann aber wurde ganz seltsam zu Mut und er wusste gar nicht, was er sagen sollte, und da sagte er schließlich: „Ich weiß nicht, was das ist...“

„Das ist etwas ganz anderes,“ höhnte der Eiszapfen neben ihm. Aber dem Schneemann war so seltsam zu Mute, dass er gar nicht mehr auf den Eiszapfen hörte, sondern immer hoch über sich auf den Tannenbaum sah, in dessen Krone sich das weiße Schnee-Elfchen wiegte und die langen hängenden Haare schüttelte, dass tausend kleine Schneesternchen herab fielen.

Der Schneemann wollte unbedingt etwas sagen über das eine, von dem er nicht wusste, was es war, und von dem der Eiszapfen sagte, dass es etwas ganz anderes wäre. Er dachte schrecklich lange darüber nach, so dass ihm die Kohlaugen ordentlich herausstanden vor lauter Gedanken, und schließlich wusste er, was er sagen wollte, und da sagte er:

„Schnee-Elfchen im silbernen Mondenschein, du sollst meine Herzallerliebste sein!“

Dann sagte er nichts mehr, denn er hatte das Gefühl, dass nun das Schnee-Elfchen etwas sagen müsse, und das war ja wohl auch nicht unrichtig. Das Schnee-Elfchen sagte aber nichts,

sondern lachte so laut und lustig, dass die alte Tanne, die doch sonst gewiss nicht für Bewegung war, missmutig und erstaunt die Zweige schüttelte und sogar vernehmlich knarrte. Da wurde es dem armen, kalten Schneemann so brennend heiß ums Herz, dass er anfang vor lauter brennender Hitze zu schmelzen, und das war nicht schön. Zuerst schmolz der Kopf, und das ist das Unangenehmste - später geht's ja leichter. Das Schnee-Elfchen aber saß ruhig hoch oben in der weißen Tannenkronen und wiegte sich und lachte und schüttelte die langen hängenden Haare, dass tausend kleine Schneesternchen herab fielen. Der arme Schneemann schmolz immer weiter und wurde immer kleiner und armseliger und das kam alles von dem brennenden Herzen. Und das ist so weitergegangen und der Schneemann war schon fast kein Schneemann mehr, da ist der heilige Abend gekommen und die Englein haben die goldnen und silbernen Sterne am Himmel geputzt, damit sie schön glänzen in der heiligen Nacht.

Und da ist etwas Wunderbares geschehen: wie das Schnee-Elfchen den Sternenglanz der heiligen Nacht gesehen hat, da ist ihm so seltsam zu Mute geworden und da hat's mal auf den Schneemann heruntergesehen, der unten stand und schmolz und eigentlich schon so ziemlich zerschmolzen war. Da ist's dem Schnee-Elfchen so brennend heiß ums Herz geworden, dass es herunter gehuscht ist vom hohen Tann und den Schneemann auf den Mund geküsst hat, so viel noch davon übrig war. Und wie die beiden brennenden Herzen zusammen waren, da sind sie alle beide so schnell geschmolzen, dass sich sogar der Eiszapfen darüber wunderte, so ekelhaft und unverständlich ihm die ganze Sache auch war.

So sind nur die beiden brennenden Herzen nachgeblieben, und die hat die Schneekönigin geholt und in ihren Kristallpalast gebracht, und da ist's wunderschön und der ist ewig und schmilzt auch nicht. Und zu alledem läuteten die Glocken der heiligen Nacht.

Als aber die Glocken läuteten, ist das Wiesel wieder herausgekommen, weil es so gerne das Glockenläuten hört, und da hat's gesehen, dass die beiden weg waren.

„Die beiden sind ja weg,“ sagte es, „das ist wohl der Weihnachtszauber gewesen.“

„Ach, das war ja etwas ganz anderes!“ sagte der Eiszapfen rücksichtslos und das Wiesel verzog sich empört in seine Behausung.

Auf die Stelle aber, wo die beiden geschmolzen waren, fielen tausend und abertausend kleine weiße, weiche Flocken, so dass niemand mehr was von ihnen sehn und sagen konnte. - Nur der Eiszapfen hing noch genau so da, wie er zuerst gehangen hatte, und der wird auch niemals an einem brennenden Herzen schmelzen und auch gewiss nicht in den Kristallpalast der Schneekönigin kommen - denn der ist eben etwas ganz anderes!

# ვიცინოთ ერთად

- ხომ ვერ მეტყვევით თქვენი მომნიშვნელო ბარძენი ქალი სდ წავიდა? - კითხულობს ბარძი შესული ქალბატონი.
- რამის დალევა გსურთ? - ინტერესდება ბარძენი მამაკაცი
- არა, ჩემს ქმარს ვუძებ,- ზასუხობს ქალი.

\* \* \*

- მაკა, იცი, ახლა ისეთ მოთხოვნებს აღარ ვუყენებ კაცებს, როგორც ადრე. მთავარია იქოს უურბდლებიანი, კეთილი, თბილი. როგორ გგონია, არიან ასეთი ბანკირები?

\* \* \*

თბილისის ბაზრობებზე ხშირად შეხვდებით სინით მოსიარულე ქალებს, რომლებიც ძღვრიან: ბანანები, ბანანები, ახალი დაკრეფილები...

\* \* \*

ექიმი მთელი ხმით უყვირის ექთანს:

- თქვენი კულისარული რეცეპტებისათვის სხვა ქალაქი ვერ გინაოვიათ?! მანცდამანც ჩემი სარეცეპტო ბლანკების უკანა მხარეს უნდა წეროთ არა?!
- რა მოხდა მერე ჰატივცემულო, ბლანკების მეტი რა გვაქვს.
- რაღა რა მოხდა! - ჩემს ჰატივცემებს აფთიაქში წამლის მაგვირბად ხან საცივს უმხადებენ და ხან ტოლმას!

გერმანიის ქართული სათვისტომოს ეურნალო  
გამოიკება 2005 წლის ოქტომბრიდან

Zeitschrift des Georgischen Vereins in Deutschland e.V.  
Herausgegeben seit Oktober 2005

დამუშავა-ბამოხაეანი:

ბახანიის ქართული სათვისტომო  
სათვისტომოს თავაქომახა: დანი დათაშვილი

სახედაქიო ყოლეგია:

ნინო საბელაშვილი (მთ. რედაქტორი)  
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)  
ნინო დალაქიშვილი  
ნინო ცხომელიძე-დეპერემილტი  
ეკატერინე ცირიკაშვილი

**მელყსის მისამართი**

Georgischer Verein in  
Deutschland e.V.  
c/o Leri Datashvili  
Roemerhofweg 51c  
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:  
ტელ.: 0711/12 28 97 26  
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ISSN 1868-6591